პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 39-ე წელი № 258 (11564) | ოთხშაბათი, 4 ნოემბერი, 1959 წ. | ფასი 20 კაპ.

## ოქტომბრის ზეიმისა და საქართველოს კპ XX ყრილობის შესახვედრად

### • იცნობდეთ, მეგობრებო!

თავდადებული შრომით დაწინაურდა ახალგაზრდა კომუნისტი გივი გარსევანიშვილი ხელმძღვანელ პოსტზე. იგი ამჟამად სტალინის სახელობის შახტის ერთ-ერთ უბანს მეთაურობს ტყვარჩელში. ამ შახტის კოლექტივი საოქტომბრო ვახტზე დგას და გადამეტებით ასრულებს საწარმოო დავალებებს, სამშობლოს აძლევს ათასობით ტონა ქვანახშირს გეგმის ზევით.

სურათზე: ტყვარჩელის სტალინის სახელობის შახტის უბნის უფროსი გივი გარსევანიშვილი.

ფოტო ხ. კოროტკოვისა.



# მშვიდობა და მეგობრობა ხალხების სანუკვარი მიზანია

## ახალი დიადი საქმეები

მშვიდობისა და მეგობრობისათვის, ახალი დიადი საქმეებისათვის! — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიის ეს მგზნებარე მოწოდება მისწვდა ჩვენი სამშობლოს ყოველ კუთხეს და ყველგან მძლავრი შრომითი აღმავლობა გამოიწვია.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებები, სესიაზე ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება მკაფიოდ გამოხატავს საბჭოთა ხალხის მისწრაფებას, მის ურყევ გადაწყვეტილებას — კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ძლევამოსილად იაროს წინ, კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის გზით.

საბჭოთა ადამიანები, მთელი მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ხალხები უდიდესი ინტერესით ეცნობიან და მხურვალედ იწონებენ ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებას სსრ კავშირის საერთაშორისო მდგომარეობისა და საგარეო პოლიტიკის შესახებ. ამ დიდმნიშვნელოვან ჰუმანურ დოკუმენტს, რომელშიც მოცემულია ჩვენი დროის საერთაშორისო ვითარების ღრმა მარქსისტულ-ლენინური ანალიზი, სულით და გულით მიესალმებიან ჩვენი ქვეყნის მუშები, გლეხები და ინტელიგენცია.

მილიონთა გულისთქმა შესანიშნავად გამოხატა ბათუმის გემთშემკეთებელი ქარხნის შემდუღებელმა ა. ჯორბენაძემ, რომელმაც განაცხადა: — ჩვენ, მუშები, ერთსულოვნად ვიწონებთ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ბრძნულ პოლიტიკას, რომლითაც გამსჭვალულია უმაღლესი საბჭოს ყველა გადაწყვეტილება. გავეცანით რა სესიის მასალებს, გემთშემკეთებლებმა გადავწყვიტეთ ღირსეულად შევხვდეთ დიდი ოქტომბრის ორმოცდამეორე წლისთავს და ვიკისრეთ 15 დეკემბრისათვის შევასრულოთ წლიური გეგმა.

სასიხარულო ცნობები საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების ახალ წარმატებებზე, მშრომელთა მძლავრ პატრიოტულ აღმავლობაზე განუწყვეტლივ მოდის ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებიდან და სოფლებიდან. სულ უფრო ზრდიან ფოლადისა და თუჯის გამოდნობას რუსთავის მეტალურგები. „ჩვენს მიერ გამოდნობილი ცხელი ლითონი, — აცხადებენ ისინი, — მშობლიურ საბჭოთა მთავრობას დაეხმარება უფრო სწრაფად გაადნოს „ცივი ომის" ყინული".

საბჭოთა ხალხს, რომელსაც გზას უნათებს მარქსიზმ-ლენინიზმის მძლავრი შუქურა, მაღლა უჭირავს მშვიდობისა და მეგობრობის დროშა. ამ დროშით ეგებება იგი ოქტომბრის დიად დღესასწაულს, ამ დროშით აშენებს თავის ნათელ მომავალს — კომუნიზმს.

## სიხარულით, ახალი ენერგიით...

ბათუმი. (საქ. კორ.). ბათუმელი მშრომელები უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიის ისტორიულ გადაწყვეტილებას, რომელიც ჩვენი სამშობლოს სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობისაკენ არის მიმართული.

— სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიის გადაწყვეტილებანი, ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება, — თქვა ბათუმის მანქანათმშენებელი ქარხნის საამწყობო საამქროს კომუნისტური შრომის ბრიგადის წევრმა ვ. ჯაშმა, — ხალხის სიხარულისა და ბედნიერების ამსახველი დოკუმენტებია.

გავეცანით რა სესიის მასალებს, ჩვენი ბრიგადა ვალდებულებას კისრულობს ყოველდღიური დავალება 300-350 პროცენტით გაანაღდოს.

სესიის გადაწყვეტილებას ეცნობიან და შრომაში ახალი ენერგიით ებმებიან ბათუმელი მენავთობეები, გემთშემკეთებლები, რკინიგზელები, საწარმო-დაწესებულებათა მუშები და მოსამსახურეები.

ბათუმში დიდი შრომითი აღმავლობაა.

## მეტი მარგანეცი

ჭიათურელი მაღაროელები გულდასმით ეცნობიან და ერთსულოვნად იწონებენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიის მასალებს, სესიაზე ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებას.

ლენინის სახელობის მაღაროს მარგანეცის მტვირთავმა მემანქანემ ანდრო აბესაძემ, რომელიც მაღალხარისხოვანი მადნისათვის შეჯიბრების ინიციატორია, მაღაროელთა აზრი გამოხატა, როცა თქვა: სესიამ განიხილა დიდმნიშვნელოვანი საკითხები და მიიღო ისტორიული გადაწყვეტილებანი, საბჭოთა მთავრობა მტკიცედ იცავს ბრძნულ ლენინურ მშვიდობის მოყვარულ პოლიტიკას. ჩვენ მხურვალედ ვიწონებთ და მხარს ვუჭერთ მშვიდობას, ამიტომ უფრო თავდადებულად ვიშრომებთ, სამშობლოს არ მოვაკლებთ მარგანეცს, ყოველდღიურ დავალებას ორმაგად შევასრულებთ.

— სესიის გადაწყვეტილებებს ვუპასუხოთ შრომითი აღმავლობით — ასეთია ჭიათურელ მაღაროელთა გადაწყვეტილება. (საქ. კორ.).

## ბოლნისელ კოლმეურნეთა ხმა

ბოლნისი. (საქ. კორ.). 800-ზე მეტი აგიტატორი და მკითხველ-მესაუბრე განუმარტავს რაიონის მშრომელებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიის გადაწყვეტილებებს და ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებას.

— ჩვენი სოფლის მშრომელები, — თქვა სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მწველავმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ლიდა ჭითანავამ, — უდიდესი ინტერესით ვადევნებდით თვალყურს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიის მიმდინარეობას და ერთსულოვნად მივესალმებით საბჭოთა მთავრობისა და კომუნისტური პარტიის ბრძნულ საგარეო პოლიტიკას და ენერგიული შრომით განვამტკიცებთ საბჭოთა სამშობლოს ეკონომიურ ძლიერებას. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით თვითეულ საფურაჟე ძროხაზე მივიღე 300 კილოგრამით მეტი რძე. პირობას ვიძლევი, რომ წელს ყოველ ძროხაზე გეგმის გადამეტებით მივიღო 500 კილოგრამი რძე.

## უპატაკებენ სამშობლოს

ლენინგორის რაიონის მეცხოველეები პარტიის ცენტრალური კომიტეტის მომავალი პლენუმის შესახვედრად გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში ახალ-ახალ წარმატებებს აღწევენ. 1 ნოემბრისათვის სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის წლიური გეგმა შესრულებულია 109 პროცენტით, რძისა — 100, მატყლისა — 100, კვერცხისა — 100 პროცენტით. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით სახელმწიფოს მიჰყიდეს 870 ცენტნერით მეტი ხორცი, 685 ცენტნერით მეტი რძე, 97 ცენტნერით მეტი მატყლი, ხოლო 125 ათასი ცალით მეტი კვერცხი.

სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვა გრძელდება.

ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეობებმა, კოლმეურნეებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომავალი პლენუმისა და საქართველოს კომპარტიის XX ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში. მათ ვადაზე ორი თვით ადრე შეასრულეს სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვის წლიური გეგმა. ხორცის მიყიდვის გეგმა შესრულებულია 100 პროცენტით, რძისა — 100,6 პროცენტით, კვერცხისა — 100 პროცენტით.

მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვა გრძელდება. (საქინფორმი).

# ვალენტინა გაგანოვას მაგალითისამებრ

ათ წელზე მეტია წულუკიძის აბრეშუმის ძაფსალებ-საგრეხი ფაბრიკის ძაფსალებ საამქროში ბრიგადირად მუშაობს ე. ადამია. მას საწარმოში იცნობენ როგორც ნიჭიერ ორგანიზატორს. მისი ბრიგადა ყოველთვის მოწინავედ ითვლებოდა ფაბრიკაში.

ვ. გაგანოვას მაგალითისამებრ ე. ადამია სათავეში ჩაუდგა ბრიგადას, რომელიც სისტემატურად ჩამორჩებოდა. მან გულდასმით შეისწავლა მიზეზები, რომლებიც ხელს უშლიდნენ ბრიგადის ნორმალურ მუშაობას, ყურადღება მიაქცია იმას, რომ ბრიგადის ყველა წევრი ფლობდეს შრომის მოწინავე მეთოდებს.

ახლებურად მუშაობამ უკვე გამოიღო პირველი შედეგები. ბრიგადამ გასული თვის საწარმოო გეგმა 117,6 პროცენტით შეასრულა, პირველი ხარისხის პროდუქციის გამოშვება გეგმასთან შედარებით 5 პროცენტით გაიზარდა. (საქინფორმი).



## ურეკის ბაღნარში

შავი ზღვის პირას, მაღლობზე გადაშლილია ურეკის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობა. მოცულობით პატარაა, მაგრამ მოსავლის სიუხვით მას ერთ-ერთი მოწინავე ადგილი უჭირავს საქართველოში.

ახლა, როცა ნარინჯოვანთა მოსავლის აღების ცხარე დღეებია, ოქროსფერნაყოფის მოსაკრეფად გამოსულა მუშათა მთელი კოლექტივი. დიდი თუ პატარა ბაღნარშია, რომ დროზე მოკრიფოს და ჩააბაროს სახელმწიფოს მანდარინი, ლიმონი, ფორთოხალი, ინდური ხურმა.

870 ძირი ციტრუსია გაშენებული ურეკის მეურნეობაში. ყველას ეტყობა მზრუნველი ხელი. კარგად ისხამენ სანიმუშოდ მოვლილი მცენარეები. თვითეული ძირი მსხმოიარე მანდარინიდან მეურნეობამ წელს გეგმით უნდა მიიღოს 500 ცალი ნაყოფი. ამ ახალგაზრდა მებაღემ ზ. წილოსანმა აიღო ვალდებულება თვითეულ ხიდან საშუალოდ მოკრიფოს 680 ცალი მანდარინი. იგი გადაჭარბებით ასრულებს წინასაოქტომბრო დავალებას.

ურეკის მეურნეობამ წელს გეგმით უნდა მოკრიფოს 252 ათასი ცალი მანდარინი. მუშათა კოლექტივმა იკისრა მოკრიფოს 300 ათას ცალზე მეტი. დავალება შესრულებული იქნება. მშრომელთა სუფრას დაამშვენებს ურეკის მეურნეობის გემრიელი ნაყოფი.

* * *

სურათზე: ახალგაზრდა მეციტრუსე ზ. წილოსანი მანდარინის კრეფის დროს.

ფოტო ა. აბულაძისა.

# მხარს უჭერენ თაოსნობას

**ქუთაისი** ქალაქის სამრეწველო საწარმოთა მშრომელებმა ვადამდე შეასრულეს მთლიანი პროდუქციის გამოშვების 10 თვის დავალება და გადაწყვიტეს 25 დეკემბრისათვის გაანაღდონ პროდუქციის გამოშვების 1959 წლის გეგმა. დღეისათვის შვიდმა საწარმომ უკვე გაანაღდა წლიური დავალება და ახლა შვიდწლედის მეორე წლის ანგარიშში იძლევა პროდუქციას.

მოწინავე საწარმოთა რიგებშია ელექტრომექანიკური ქარხანა, რომლის კოლექტივი ერთ-ერთი პირველი ჩაება საქართველოს კომპარტიის XX ყრილობის აღსანიშნავ შეჯიბრებაში. ქარხნის მშრომელებმა იკისრეს 25 დეკემბრისათვის შეასრულონ როგორც საერთო, ისე სასაქონლო პროდუქციის გამოშვების წლიური დავალება და გეგმის გადამეტებით გამოუშვან 3,5 მილიონი მანეთის სასაქონლო პროდუქცია; შრომის ნაყოფიერება გაადიდონ 6 პროცენტით; რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვით წლის ბოლომდე დაზოგონ 750 ათასი მანეთი. ვალდებულება ითვალისწინებს 25 დეკემბრისათვის მთლიანად განახორციელონ ტექნიკური პროგრესის წლიური გეგმა.

ლიტოპონის ქარხნის კოლექტივი იბრძვის, რათა შვიდწლედის რესპუბლიკურ ფონდში შეიტანოს 1 მილიონი მანეთი, დიდი ოქტომბრის 42-ე წლისთავისათვის საექსპლოატაციოდ გადასცეს ლიტოპონის გამოსაწვავი დიდი მბრუნავი ღუმელი. (საქ. კორ.).

* * *

**სოხუმი** ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველომ და საგზაო კომიტეტმა შეაჯამეს რკინიგზის ვაგზლების მუშაობის შედეგები. აღმოჩნდა, რომ ყველაზე უკეთესი მაჩვენებლები აქვს რკინიგზის სოხუმის ვაგზალს, რისთვისაც მის კოლექტივს გადაეცა ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს და საგზაო კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

ვაგზლის კოლექტივმა განსაკუთრებით გააცხოველა მუშაობა თბილისის მოწინავე საწარმოთა მიმართვის პასუხად. აქ დიდი გადამეტებით შეასრულეს გეგმები ყველა მაჩვენებლის მიხედვით. მგზავრთა გადაყვანის გეგმა განაღდებულია 122 პროცენტით. გადაყვანილ იქნა ნახევარ მილიონამდე მგზავრი, მკვეთრად გაუმჯობესდა მომსახურება. გადამეტებით იქნა შესრულებული აგრეთვე საერთო ფინანსური გეგმა და ადგილობრივი შემოსავლის დავალება. (საქ. კორ.).

* * *

**რუსთავი** ქართველმა მეტალურგებმა მორიგ წარმატებებს მიაღწიეს, ტრადიციის მიხედვით. ამიერკავკასიის ი. ბ. სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის კოლექტივმა კვლავ სრული მეტალურგიული ციკლით შეასრულა ოქტომბრის სახელმწიფო დავალება. გეგმის ზევით გამოშვებულია დიდძალი თუჯი, ფოლადი, ნაგლინი და სხვა მეტალურგიული პროდუქცია.

წარმატებები მოპოვებულია წარმოებაში ტექნიკური პროგრესის დანერგვის შედეგად. ამ დღეებში განხორციელდა დგან — 400-ის უბნის სრული ავტომატიზაცია, რამაც დიდად შეუწყო ხელი მილების გლინვის პროცესის დაჩქარებას, საამქროს ეკონომიური მაჩვენებლების ზრდას. ასევე მნიშვნელოვანი აღმოჩნდა საგლინავ საამქროში დგან — 1000-ის ზოდმზიდის, მიმღები და სატრანსპორტო როლგანგების და მბრუნავი მაგიდის ავტომატიზაცია, რაც ახლახან განხორციელდა.

რუსთავის მეტალურგები ყოველდღიურად ზრდიან შვიდწლედის ეკონომიის ფონდს, მათ დაზოგილი აქვთ 12 მილიონი მანეთი. (საქ. კორ.).

* * *

**ქობულეთი** დიდი ოქტომბრის რევოლუციის 42-ე წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის თავდადებით მუშაობს ოჩხამურის ჩაის ფაბრიკის კოლექტივი. აქ ვადაზე ადრე გაანაღდეს პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა და მრეწველობას გეგმის გადამეტებით მისცეს 90 ტონა ქართული არომატული ჩაი, რითაც 300 პროცენტით შეასრულეს ნაკისრი ვალდებულება.

ფაბრიკაში ეფექტურად იბრძვიან მომჭირნეობის რეჟიმისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის. მარტო პროდუქციის წარმოების დანახარჯების შემცირებით მიღებულია 400 ათას მანეთზე მეტი ეკონომია. (საქ. კორ.).

* * *

**აგარა** შაქრის ქარხანამ ჭარხლის გადამუშავების და შაქრის გამოშვების ოქტომბრის გეგმა სამი დღით ადრე შეასრულა. ქარხნის კოლექტივმა ენერგიული შრომით გეგმით გათვალისწინებული 46 ათასი ცენტნერი შაქრის ნაცვლად გამოუშვა 47.223 ცენტნერი შაქარი.

# კარგია, სიღნაღელო კოლმეურნეებო!

უჩვეულოა წლევანდელი შემოდგომა სიღნაღის რაიონში... ჯერ ხანგრძლივმა წვიმებმა წყლით გაჟღინთა დედამიწა, მერე ერთბაშად გამოიდარა, დასუსტებულმა მზემ ძალა მოიკრიფა და სველ მიწას ორთქლი აადინა.

გამრჯე კოლმეურნეები ხელიდან არ უშვებენ ძვირფას დროს. ამიტომ მთელი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა ახლა აქ არის თავმოყრილი. გუგუნებენ ტრაქტორები... რიტმულად ეხმიანებიან სათესი მანქანები.

სიღნაღის რაიონის მშრომელებმა კარგა ხანია საშემოდგომო თესვა გააჩაღეს; მათ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 42-ე წლისთავის შესახვედრად გადიდებული ვალდებულებები იკისრეს და აი, დღეს უკვე აქვთ სალაპარაკოც: ჯერ კიდევ 27 ოქტომბრისათვის გაანაღდეს პირობა — 19.000 ჰექტარზე დათესეს საშემოდგომო ხორბალი და ქერი.

რაიონის მშრომელები, იბრძვიან რა მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის გადიდებისათვის, არ წყვეტენ მუშაობას, გონივრულად იყენებენ აგროტექნიკურ ვადებს. 1 ნოემბრისათვის მათ სამშობლოს კიდევ ახალი გამარჯვება უპატაკეს — გეგმის ზევით დათესეს 2.000 ჰექტარი საშემოდგომო ხორბალი.

წინასაოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში კოლმეურნეობა კოლმეურნეობას ეჯიბრება, ბრიგადა ბრიგადას.

ყველაზე უფრო დაწინაურდნენ ტიბაანის, წნორისა და ჯუგაანის კოლმეურნეობები. მარტო ტიბაანის კოლმეურნეობაში დღემდე გეგმის ზევით 300 ჰექტარი ხორბალი და ქერია დათესილი. მოწინავე მექანიზატორები ფირუზ გურაშვილი, რომანოზ ბიძინაშვილი და ნიკოლოზ ალადაშვილი თესვის ყოველდღიურ ნორმებს ორმაგად ასრულებენ.

საშემოდგომო თესვა კვლავ წარმატებით გრძელდება. სიღნაღის რაიონის მშრომელებმა გადაწყვიტეს გეგმის ზევით კიდევ დათესონ 2.500 ჰექტარ ფართობზე.

სურათზე: საშემოდგომო პურეულის თესვა სიღნაღის რაიონის სოფელ ნუკრიანის კოლმეურნეობა „პარიზის კომუნაში".

## გეგმის ზევით — ათასობით ჰექტარი



## ჩვენს ქვეყანაში

### ვ. ი. ლენინის ახალი ძეგლი

ბაქო, 3 ნოემბერი. (საქინფორმი). აზერბაიჯანის დედაქალაქის ერთ-ერთ უდიდეს საწარმოში — ბაქოს ელექტრომანქანათსაშენებელ ქარხანაში გახსნეს კომუნისტური პარტიის ორგანიზატორისა და ბელადის, მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს დამაარსებლის ვლადიმერ ილიას ძე ლენინის ძეგლი.

ილიჩის ბრინჯაოს სამმეტრიანი ფიგურა აღმართულია ქარხნის ეზოს ცენტრში.

ძეგლის გახსნას მიეძღვნა საერთო-საქარხნო მიტინგი.

### მოძმე რესპუბლიკების მხატვართა კონფერენცია

სამ დღეს გასტანა ამიერკავკასიის მხატვართა შემოქმედებითმა კონფერენციამ ბაქოში. მოხსენება თემაზე „მხატვარი და თანამედროვე სინამდვილე" გააკეთა რსფსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ მხატვარმა ი. ნიკოლაევმა. კონფერენციამ მოისმინა აგრეთვე თანამოხსენებანი — თანამედროვე თემა საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის სახვით ხელოვნებაში.

დოცენტმა ი. ურუშაძემ (თბილისი) განაცხადა, რომ საბჭოთა საქართველოს საუკეთესო მხატვრების შემოქმედება მკაფიო მაგალითია იმ ტრადიციების ღრმა ათვისებისა, რომლებიც წარსულის გამოჩენილმა ოსტატებმა შეიმუშავეს.

დოცენტმა ტ. კოლოზიანმა (ერევანი) აღნიშნა, რომ სომხეთის სახვითი ხელოვნების განვითარებაში წამყვანი როლი ეკუთვნის თემატიკურ ტილოებს, რომლებიც ყველაზე სრულად ასახავენ ხალხის ცხოვრებას.

ხელოვნებათმცოდნე ნ. გაბიბოვმა (ბაქო) ილაპარაკა ხალხთა ინტერნაციონალური მეგობრობის თემის უდიდეს მნიშვნელობაზე.

კამათში მონაწილეობა მიიღეს სსრ კავშირის მხატვართა კავშირის მდივნებმა ი. სერებრიანიმ, შ. აბდულაევმა, აგრეთვე მოძმე რესპუბლიკების დელეგატებმა. კონფერენციამ მიიღო მიმართვა ამიერკავკასიის ყველა მხატვრისადმი.

### ჟურნალისტთა საკავშირო ყრილობის დელეგატთა საყურადღებოდ

სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის ორგბიურო სსრ კავშირის ჟურნალისტთა პირველი სრულიად საკავშირო ყრილობის დელეგატებს აცნობებს, რომ ყრილობა გაიხსნება 1959 წლის 12 ნოემბერს 10 საათზე კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში.

ყრილობის დელეგატთა რეგისტრაცია იწარმოებს ჟურნალისტის ცენტრალური სახლის შენობაში (სუვოროვის ბულვარი, სახლი 8-ა) 9 ნოემბრიდან 9-დან 22 საათამდე ყოველდღიურად.

ტელეფონები ცნობებისათვის: ჟურნალისტის ცენტრალური სახლი კ 4-21-71, ვ 8-55-05, კ 4-82-64, სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის ორგბიურო ი 1-97-63, ი 4-41-08.

სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის ორგბიურო.

## საქართველოს სს რესპუბლიკაში შაქრის ჭარხლის დამზადების წლიური გეგმის შესრულება

1959 წლის 1 ნოემბრისათვის

| | ტონობით სულ | | | მათ შორის კოლმეურნეობები | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | გეგმა | შესრულება | პროცენტი | გეგმა | შესრულება | პროცენტი |
| სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი | 15500 | 11762 | 75,9 | 15500 | 11762 | 75,9 |
| გორის | 45000 | 26503 | 58,9 | 45000 | 26503 | 58,9 |
| ქარელის | 42500 | 31000 | 72,9 | 24500 | 24090 | 98,3 |
| კასპის | 24000 | 14655 | 61,1 | 24000 | 14568 | 60,7 |
| ხაშურის | 18000 | 11800 | 65,6 | 18000 | 11800 | 65,6 |
| სულ საქართველოს სს რესპუბლიკაში | 145000 | 95720 | 66,0 | 127000 | 88723 | 69,9 |

საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველო

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომავალი პლენუმის შესახვედრად

# ტყუიაველთა ვაჟკაცური ნაბიჯები

### შვიდწლედის ზღუდეებზე

**კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ხალხი შესანიშნავი წარმატებებით ეგებება თავის საყოველთაო-სახალხო დღესასწაულს — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 42-ე წლისთავს. ფაბრიკა-ქარხნების, ახალმშენებლობათა და სამეცნიერო დაწესებულებათა მშრომელებთან ერთად საკოლმეურნეო სოფლის ადამიანებსაც თავიანთი ღირსეული წვლილი შეაქვთ შვიდწლედის გრანდიოზულ დავალებათა ვადაზე ადრე და გადაჭარბებით შესრულების საქმეში.**

**ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნეობები, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მუდმივი მზრუნველობით გარემოსილნი, სულ უფრო მტკიცდებიან ორგანიზაციულად და მეურნეობრივად, წლითიწლობით ზრდიან სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობას და მეცხოველეობის პროდუქტიულობას, საარტელო მეურნეობის შემოსავალს, განუყოფელ ფონდებს. ამ საქმეში უდიდეს როლს ასრულებს საკოლმეურნეო წარმოების მართვისა და გაძღოლის საქმეში კოლმეურნეთა მზარდი ინიციატივა, რასაც ფართო გასაქანი მისცა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 6 მარტის დადგენილებამ „სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდებისა და საკოლმეურნეო წარმოების ორგანიზაციასა და არტელის საქმეთა მართვაში კოლმეურნეთა ინიციატივის შემდგომი განვითარების შესახებ“.**

## არტელის ახალი წესდება მოქმედებაში

**რესპუბლიკის სხვა მოწინავე კოლმეურნეობებთან ერთად ამ მხრივ მნიშვნელოვანი გამოცდილება აქვს გორის რაიონის სოფელ ტყუიავის ლ. კეცხოველის სახელობის კოლმეურნეობასაც, რომლის შესახებ მოთხრობილია ქვემოთ.**

**ტყუიაველი კოლმეურნეები, ისევე როგორც მთელი ჩვენი ქვეყნის სოფლის მშრომელები, თვალსაჩინო მიღწევებით ხვდებიან დიდი ოქტომბრის ზეიმს და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომავალ პლენუმს. მათი ერთსულოვანი გადაწყვეტილებაა შვიდწლედის პირველი წლის დავალებანი შეასრულონ პლენუმის გახსნის დღისათვის, აქედანვე დარაზმონ ძალები პლენუმის ისტორიულ გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელებისათვის.**

**უკანასკნელ** წლებში საქართველოს საკოლმეურნეო სოფლის ცხოვრებაში თვალსაჩინო ცვლილებები მოხდა.

ყოველივე ამას მოწმობს რესპუბლიკის მოწინავე კოლმეურნეობათა მაგალითი, რაც ამას წინათ ხაზგასმით აღნიშნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა თავის დადგენილებაში „სასოფლო-სამეურნეო არტელების შემდგომი ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცების საქმეში სტალინირის რაიონის სოფელ ერედვის, სიღნაღის რაიონის სოფელ ბოდბისა და კასპის რაიონის სოფელ ქვემო ჭალის კოლმეურნეობათა გამოცდილების შესახებ“.

როდესაც აღნიშნულ დადგენილებას და მასალებს გორის რაიონის სოფელ ტყუიავის ლ. კეცხოველის სახელობის კოლმეურნეობაში გაეცნენ, სოფლის აქტივი ჩააფიქრა ერთმა გარემოებამ:

— ჩვენი საარტელო მეურნეობაც აღმავლობის გზით მიდის, მაგრამ შრომის მოწესრიგებისა და შრომის დისციპლინის განმტკიცების საქმეში მაინც ყველაფერი რიგზე ვერა გვაქვს; ჯერ კიდევ ბევრია დაუდევარი კოლმეურნე, რომელიც საზოგადოებრივ შრომას გაურბის, საკარმიდამო ნაკვეთების დიდი ფართობით ნებივრობს. ამიტომ ღირს ამ საკითხზე ერთხელ კიდევ მოვილაპარაკოთ ხალხთან.

და, მოილაპარაკეს კიდეც. 14 ოქტომბერს საკოლმეურნეო კულტურის სახლის დიდი დარბაზი ხალხით გაიჭედა. აქ მოვიდნენ მეხილეები და მევენახეები, მეჭარხლეები და მეცხოველეები, მოხუცები და ახალგაზრდები, სოფლის ინტელიგენცია.

ეს ხალხმრავალი კრება მიეძღვნა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ზემოაღნიშნულ დადგენილებაში დასახელებულ კოლმეურნეობათა გამოცდილების გაცნობას, საკუთარი არტელის მეურნეობაში ამ გამოცდილების დანერგვას. კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ტარიელ ძამელაშვილმა თავისი მოხსენება ერედვის, ბოდბის და ქვემო ჭალის კოლმეურნეობათა გამოცდილების გაცნობით დაიწყო.

— საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ბიურომ რჩევა მოგვცა,— დაასკვნა ბოლოს მან,— ერედველ, ბოდბელ და ქვემოჭალელ კოლმეურნეთა მეტად საყურადღებო გამოცდილება გამოვიყენოთ ჩვენთანაც ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით.

მომხსენებელს არც ის გამორჩენია, რომ ელაპარაკნა თავისი არტელის წევრთა იმ მუშაობაზე, რაც მათ გასწიეს იმისათვის, რომ განეხორციელებინათ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 6 მარტის დადგენილება „სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების და საკოლმეურნეო წარმოების ორგანიზაციასა და არტელის საქმეთა მართვაში კოლმეურნეთა ინიციატივის შემდგომი განვითარების შესახებ“.

აღნიშნულ დადგენილებამდე, ძველი წესდებით, საკარმიდამო ნაკვეთის ფართობის ოდენობა განსაზღვრული იყო 0,25-დან 1 ჰექტარამდე. ცხადია, ასეთი დიდი ფართობი ხელფეხს უბორკავდა ბევრ კოლმეურნეს იმაში, რომ აქტიური შრომითი მონაწილეობა მიეღო საზოგადოებრივ მეურნეობაში. ამით ყველაზე მეტად სარგებლობდნენ დაუდევარი და ყალთაბანდი კოლმეურნეები, რომლებიც გაცხარებული მუშაობის დროს თავიანთ საკარმიდამო ნაკვეთებში იყვნენ დაბანდებულნი, კოლმეურნეობის ხეხილის ბაღები, შაქრის ჭარხლის პლანტაციები და ვენახები კი დაუმუშავებელი რჩებოდა. ამას ვერ ურიგდებოდნენ მოწინავე კოლმეურნეები. ისინი აყენებდნენ საკითხს მდგომარეობის გამოსასწორებლად გადამჭრელი ზომების მიღების შესახებ. და აი, რომ იტყვიან, სულზე მოუსწროთ პარტიისა და მთავრობის დადგენილებამაც. სათანადო მოსამზადებელი მუშაობის შემდეგ, წევრთა საერთო კრებაზე განიხილეს საკითხი არტელის ძველ წესდებაში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ.

ბევრი სჯა-ბაასის შემდეგ მაშინ ერთსულოვნად მიიღეს გადაწყვეტილება საკარმიდამო მიწის ფართობი განესაზღვრათ 0,25-დან 0,60 ჰექტარამდე; ასევე განსაზღვრეს პირადი საკუთრების პირუტყვის ოდენობა: ერთი ძროხა ნამატით ერთ წლამდე, ერთი დედალორი ნამატით ერთ წლამდე, ფუტკარი და ფრინველი განუსაზღვრელი რაოდენობით. ამასთან კოლმეურნეებმა უარი განაცხადეს იმაზე, რომ პირად სარგებლობაში ჰყოლოდნენ ცხვარი და თხა, აგრეთვე ცხენი.

წესდების მუხლებში შეტანილმა ამ ცვლილებამ კეთილმყოფელი გავლენა მოახდინა საზოგადოებრივი მეურნეობის შემდგომ აღმავლობასა და სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდებაზე. უკვე 1957 წელს მოსავლიანი თესლოვანი ხეხილის ბაღების 103 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიიღეს 47,3 ცენტნერი, ხოლო 1958 წელს 51 ცენტნერი ხილი ნაცვლად 1953 წელს მიღებული 7,9 ცენტნერისა. ასევე გაიზარდა მოსავლიანობა ყურძნისა 1953 წლის 21 ცენტნერიდან 65,4 ცენტნერამდე 1958 წელს, შაქრის ჭარხლისა 1958 წლის 320,7 ცენტნერიდან 500 ცენტნერამდე მიმდინარე წელს.

თვალსაჩინო გარდატეხა მოხდა საზოგადოებრივი მეცხოველეობის შემდგომი განვითარების საქმეშიც. 1953 წელს არტელს ყავდა 80 ძროხა, თვითეულ ძროხაზე მიიღეს 204 კილოგრამი რძე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 700 ლიტრისა. შარშან ძროხის რაოდენობა გაზარდეს 125 სულამდე, თვითეულ ძროხაზე კი მიიღეს 1400 კილოგრამი რძე, ანუ თითქმის შვიდჯერ მეტი 1953 წელთან შედარებით. მიმდინარე წლის ცხრა თვეში საშუალოდ ერთ ძროხაზე მიღებული ჰქონდათ 1.200 კილოგრამი რძე. ასევე ღორის სულადობა 1953 წლის 85-დან გაიზარდა 225-მდე მიმდინარე წელს. გარდა ამისა, გაასუქეს და სახელმწიფოს ჩააბარეს 200 ღორი. წინათ არტელში პატივისცემით არ სარგებლობდა ფრინველი, რომლის რაოდენობა 1953 წელს 570 ფრთას არ აღემატებოდა, ახლა კი 3.600 ფრთა ქათამი ჰყავთ.

ტყუიაველებმა მეცხოველეობის ასეთ აღმავლობას იმის შედეგად მიაღწიეს, რომ პირუტყვისათვის შექმნეს მტკიცე საკვები ბაზა. საკმარისია ითქვას, რომ თუ 1953 წელს სულ ჩადებული ჰქონდათ 300 ტონა სილოსი, შარშან დაამზადეს 2.400 ტონა, ხოლო წელს უკვე ჩადებული აქვთ 2.800 ტონა. ამასთან მნიშვნელოვნად გააუმჯობესეს პირუტყვის ჯიშობრივი შემადგენლობა და მისი მოვლა-პატრონობა. უკანასკნელ წლებში ააშენეს ტიპური საძროხე 120 სულისათვის, საფრინველე, საწიწილე, სალორე და სხვ. ახლა პირუტყვს არც საკვები აკლია, არც დათბუნებული ბინა და არც ზოოვეტერინარული მომსახურება.

კოლმეურნეობის ეკონომიკის აღმავლობასთან ერთად გაიზარდა საზოგადოებრივი მეურნეობის შემოსავალიც. 1953 წლის 884.471 მანეთიდან იგი შარშან გაიზარდა 3.115.595 მანეთამდე. მარტო მეხილეობიდან მიღებულმა შემოსავალმა შარშან 2.403.199 მანეთი შეადგინა ნაცვლად 1953 წელს მიღებული 310.860 მანეთისა. ცვლილებები მოხდა განუყოფელი ფონდის ზრდის მხრივაც. შარშან მან მიაღწია 5.947.824 მანეთს ნაცვლად 1953 წლის 1.231.398 მანეთისა. ასევე პროგრესიულად იზრდება შრომადღის ხვედრიც.

საკოლმეურნეო - საზოგადოებრივი მეურნეობის მძლავრმა აღმავლობამ, მისი ეკონომიკის მტკიცე ნიადაგზე დაყენებამ და განუყოფელი ფონდების განუხრელმა ზრდამ ტყუიაველებს შესაძლებლობა მისცა ხელი მოეკიდათ სოფლის კეთილმოწყობის სამუშაოებისათვის, კოლმეურნეთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის. ახლა ტყუიავი ისეთი სოფელი როდია, როგორიც ამ სამი ათეული წლის წინათ იყო. ქართლის სოფელს რომ აღწერდა, გორის რაიონის მკვიდრი, ცნობილი ბელეტრისტი ნიკო ლომოური წერდა:

„...შევედი სოფელში... ჩვენი პატარა რუ ისე დამშრალიყო, რომ მის ძირს თითქოს მტვერი ასდიოდა. მხოლოდ აქა-იქლა დარჩენილიყვნენ პატარ-პატარა გუბეები და ესენიც ადამიანის სასმელად სრულიად არვარგოდნენ: მათში, ზედიზედ მიკრულნი ეყარნენ დამშეული და სიცხისაგან ენაგადმოგდებული კამეჩები და კუდების ნელი, ზარმაცული ქნევით იგერიებდნენ გუნდ-გუნდად მათზე მისეულ ბუზებს. რაც შეეხება ადამიანებს, ესენი კარგა ხანს ვერსად ვერ დავინახე სოფელში. სჩანდა საშინელ სიცხეს ისინი შეერეკნა მათს სოროს მსგავს მიწურს სახლებში. სოფელში ისეთი სიჩუმე იყო დამყარებული, თითქოს აქ მცხოვრებნი აყრილან და სხვაგან გადასახლებულან სადმეო...“

ასე იყო წარსულში, ცარიზმის ბატონობის შავბნელ დღეებში. ახლა ტყუიავს ვეღარ იცნობთ. მიწურების ნაცვლად სოფელში კოლმეურნეთა ორსართულიანი ქვიტკირის კოპწია სახლებია. მარტო უკანასკნელ ოთხ-ხუთ წელიწადში 220 კოლმეურნემ აიშენა ახალი სახლი. ამის საშუალება მათ საკოლმეურნეო ცხოვრებამ მისცა. წარსულს ჩაბარდა ჭრაქი და კვარი. კოლმეურნეთა სახლებში კაშკაშებს ილიჩის ნათურები, ხმიანობს რადიო. მოსახლეობა ახლა აღარ სვამს რუებში ჩამონადენ, პირუტყვისაგან გაბინძურებულ წყალს, სოფელში გამოყვანილია წყაროები. კოლმეურნეობამ ააშენა კულტურის სახლი, რომლის მაყურებელთა დარბაზი 500-ზე მეტ კაცს იტევს. აქ ყოველდღიურად ორ-ორ სეანსად უჩვენებენ კინოფილმებს. ამას გარდა, გორის სახელმწიფო თეატრი ტყუიავში სისტემატურად მართავს გასვლით სპექტაკლებს.

სოფელს აქვს საკუთარი საავადმყოფო-პოლიკლინიკა, ახლა მას აფართოებენ და ახალ შენობაში გადააქვთ. მოსახლეობას ემსახურება კოოპერატივის მაღაზიები, აფთიაქი, ვეტამბულატორია, საშუალო სკოლა, ბიბლიოთეკა-სამკითხველო, პურის საცხობი; კოლმეურნეობამ ააშენა და მოკლე დროში საექსპლოატაციოდ გადაეცემა საყოფაცხოვრებო კომბინატის ორსართულიანი შენობა, რომელშიც მოთავსდება სამკერვალო და ფეხსაცმლის შემკეთებელი სახელოსნოები, საპარიკმახერო, ფოტოატელიე, სოფლის მეურნეობის პროდუქტების საკომისიო მაღაზია და სხვ.

მთელი ეს სიკეთე ტყუიაველებს საკოლმეურნეო ცხოვრებამ მოუტანა. პატიოსანი კოლმეურნეები გრძნობენ კიდეც ამას. შენდება და უახლოეს მომავალში მწყობრში ჩადგება ხილის გადამმუშავებელი და ღვინის ქარხნები, მიმდინარეობს საუბნო გზების კეთილმოწყობა. ამ 580-კომლიან სოფელს კიდევ უკეთესი მომავალი აქვს. ამ სოფლის მკვიდრმა დიდი სტალინის თანამებრძოლმა — მგზნებარე რევოლუციონერმა ლადო კეცხოველმაც ხომ მშრომელი ხალხის კეთილდღეობისათვის ბრძოლის საშვილიშვილო საქმეს შესწირა თავი. ამით კანონიერადაც ამაყობენ ტყუიაველები. ისინი საკოლმეურნეო წარმოებაში თავდადებული შრომით პატივს სცემენ ლადო კეცხოველის ნათელ ხსოვნას. მათი დიდი სურვილია სოფელში მოეწყოს ამ დიდი რევოლუციონერის სახლი-მუზეუმი. ამ სურვილის განხორციელებაში მათ მხარი უნდა დაუჭირონ და დაეხმარონ საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო, რაიონის პარტიული და საბჭოთა ორგანოები.

ტყუიაველები მიღწეულს არ სჯერდებიან. ისინი ყოველწლიურად აფართოებენ საკოლმეურნეო ხეხილის ბაღებს, ვენახებს, შაქრის ჭარხლის პლანტაციებს. ეს კულტურები ხომ მათი შემოსავლის მთავარი წყაროა. კოლმეურნეობას 11 ტრაქტორი და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანები აქვს. კოლმეურნეობაში ბევრია მოწინავე, წარჩინებული ადამიანი. მათ შორის ქებით იხსენიებენ ილია ხაბაზაშვილს, არჩილ ქარელს, ნინო დალაქიშვილს, ნანული კინკრიაშვილს, არშაკ ტერტერაშვილს, ბაგრატ ქარელს, ვანო ტატიშვილს, შოთა მეტრეველს და მრავალ სხვას, რომლებსაც ღირსეული წვლილი შეაქვთ საკოლმეურნეო წარმოების შემდგომი აღმავლობის, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდების საქმეში და შესანიშნავ წარმატებებსაც აღწევენ.

სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არიან არტელში დაუდევარი და ყალთაბანდი კოლმეურნეები, რომლებსაც საზოგადოებრივ მეურნეობაში მუშაობა ეთაკილებათ, სოფელს გაურბიან, 7-8 თვეს იკარგებიან, სადღაც დაუსჯელად დანავარდობენ, საკარმიდამო ნაკვეთზე მიღებული ხილით სასპეკულაციოდ დადიან ქალაქიდან ქალაქში და ამით პატიოსან კოლმეურნეებსაც გულს უტეხენ. არა და არ გასჭრა მათ მიმართ მიღებულმა ზომებმა. ასჯერ გააფრთხილეს, სთხოვეს დაბრუნებოდნენ კოლმეურნეობაში პატიოსან შრომას, მაგრამ, როგორც იტყვიან, „კედელს ცერცვი შეაყარეო“, არაფერი არ გამოვიდა. მათ თავიანთი არ მოიშალეს. კოლმეურნეებსაც აევსოთ მოთმინების ფიალა, ადგნენ და ეს გარეწრები — სევერიანე პაპიაშვილი, ნიკოლოზ გიგუაშვილი, მაყვალა ქარელი, ვანო ქარელი და თამარ ნათიშვილი არტელიდან გარიცხეს, ამასთან საკარმიდამო მიწის ნაკვეთებიც ჩამოართვეს.

— როდემდის უნდა ველოლიავოთ ასეთ ყალთაბანდებს? — აცხადებენ ტყუიაველი კოლმეურნეები, — თუ ჩვენთან შრომა არა სურთ, ჯანდაბას იქით ჰქონიათ გზა!

და აი, როდესაც ეცნობოდნენ რესპუბლიკის მოწინავე კოლმეურნეობათა გამოცდილებას, ტყუიაველებმა კვლავ წამოაყენეს საკარმიდამო მიწის ნაკვეთების ოდენობის შემცირების საკითხი.

— ჩვენ ახლა გვახარებს ის ფაქტი, — განაცხადა კრებაზე მოწინავე კოლმეურნე ი. ტატიშვილმა, — რომ ჩვენი კოლმეურნეობა შეძლებული გახდა და რაიონის 30 მილიონერი კოლმეურნეობის რიგებში ჩადგა. მაგრამ დღევანდელ მიღწევებს ვერ დავჯერდებით. შვიდწლიანი გეგმით დასახულ ღონისძიებათა განხორციელებისათვის, რაიონის სხვა სოფლების კოლმეურნეებთან ერთად ტყუიაველი კოლმეურნეებიც აქტიურად ვიბრძვით. ამ დიდი ამოცანების ფონზე კიდევ უფრო მეტი ორგანიზებულობა გვჭირდება. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ყოველმხრივ განვამტკიცოთ საკოლმეურნეო - საზოგადოებრივი მეურნეობა როგორც ჩვენი არტელის შემოსავლის ძირითადი წყარო. ხოლო ამის საფუძველზე საკარმიდამო მიწის ნაკვეთს და პირად პირუტყვს სულ უფრო ნაკლები მნიშვნელობა უნდა ექნეს, როცა საკარმიდამო ნაკვეთი დიდია, მის დამუშავებასაც მეტი დრო სჭირდება. მოძალებული სეზონის სამუშაოებისას ზოგიერთი თავის ნაკვეთში ატარებს მთელ დროს, ამით საკოლმეურნეო საქმე ფერხდება, ხეხილის ბაღები და შაქრის ჭარხლის პლანტაციები დაუმუშავებელი გრჩება. ამიტომ ჩემი აზრით, სავსებით დროულია ახალ წესდებაში შევიტანოთ დამატებით ცვლილება და საკარმიდამო ნაკვეთი განვსაზღვროთ 0,25-დან 0,40 ჰექტარამდე.

სიტყვებით გამოსულმა კოლმეურნეებმა ა. ტერტერაშვილმა, ი. გიგუაშვილმა, ბ. ქარელმა, გ. რაზმაძემ და სხვებმა მხარი დაუჭირეს ტატიშვილის წინადადებას. ამ საკითხზე სერიოზული მსჯელობის შემდეგ წევრთა საერთო კრებამ ერთხმად დაადგინა საკარმიდამო ნაკვეთი თვითეული კოლმეურნე კომლისათვის განისაზღვროს 0,25-დან 0,40 ჰექტარამდე ნაცვლად დღემდე არსებული 0,25 — 0,60 ჰექტარისა.

ასეთია არტელის წესდების და საკოლმეურნეო წარმოების ორგანიზაციასა და არტელის საქმეთა მართვაში კოლმეურნეთა ინიციატივის ნაყოფი. სწორედ ასეთ ინიციატივას შეუძლია საკოლმეურნეო წარმოების შემდგომ აღმავლობაზე მოახდინოს თავისი კეთილმყოფელი გავლენა, განაპირობოს სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიუხვის შექმნა, პატიოსან კოლმეურნეთა შეძლებულობა და მათი კეთილდღეობის გაუმჯობესება.

ტყუიაველი კოლმეურნეები თავიანთი ხვალინდელი დღისადმი, ნათელი მომავლისადმი ღრმა რწმენით არიან გამსჭვალულნი. პარტიისა და მთავრობის დახმარებით, თავდადებული შემოქმედებითი შრომით ისინი კიდევ უკეთეს წარმატებებს მოიპოვებენ შვიდწლედის დიად წინასწარმდასახულობათა განხორციელებისათვის ბრძოლაში.

გამარჯვებით დაგვირგვინებულიყოს ტყუიაველთა ახალი შემართება შვიდწლედის ზღუდეებზე!

**ა. კოპილაშვილი.**





**სურათებზე:** (ზევით) ხილის კრეფა სოფელ ტყუიავის ლ. კეცხოველის სახელობის კოლმეურნეობაში; წინა პლანზეა ხილის მოწინავე მკრეფავი ე. სომხიშვილი. (ქვევით) ტყუიავის სასოფლო ბიბლიოთეკის დარბაზში.

ფოტო შ. კუკულავასი და ი. დავითაშვილისა. (საქდესის ფოტოქრონიკა)

**კოლმეურნეებო! ყოველი ღონისძიებით განავითარეთ საზოგადოებრივი მეურნეობა, გაადიდეთ განუყოფელი ფონდები — საკოლმეურნეო სიმდიდრის საფუძველი! გააფართოეთ საკოლმეურნეოგათაშორისო საწარმოო კავშირურთიერთობა!**

სკკპ ცენტრალური კომიტეტის საოქტომბრო მოწოდებებიდან.

## მათი მაგალითი

**სოფლის** მეურნეობის მშრომელები, კოლმეურნეობათა შემდგომი ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცებისათვის პარტიისა და საბჭოთა მთავრობის უდიდესი მზრუნველობით აღფრთოვანებულნი, ახალ-ახალ წარმატებებს აღწევენ. კოლმეურნე გლეხობა თავდადებულად იბრძვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომავალი პლენუმის ღირსეულად შეხვედრისათვის.

პარტიის მიერ სოფლის მეურნეობის მშრომელთა წინაშე დასახული ამოცანების შესრულების საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ცხაკაიას რაიონის ნოსირის სტალინის სახელობის კოლმეურნეობასაც. მიმდინარე წლის 9 თვეში ერთ საფურაჟე ძროხაზე მიღებულია 1.150 ლიტრი რძე, ანუ 184 ლიტრით მეტი, ვიდრე გასული წლის შესაბამის პერიოდში, ხოლო წველადობა 1953 წელთან შედარებით თითქმის 3-4-ჯერ გაიზარდა.

1958 წელს აბრეშუმის პარკის ჩაბარების გეგმა შესრულებულ იქნა 58 პროცენტით, შვიდწლედის პირველი წლის დავალება კი 103 პროცენტით. გასულ წელთან შედარებით დიდად გაუმჯობესდა სიმინდის ნათესი ფართობების მოვლა-დამუშავება, რის შედეგად კოლმეურნეობა სამჯერ მეტ მოსავალს იღებს.

აქ შესანიშნავად მოაწყეს თევზის აუზი. წელს აუზში ჩაუშვეს სარკის კობრის 70 ათასი ლიფსიტა. მიმდინარე წლის ბოლოსათვის კოლმეურნეობა მეთევზეობით 150 ათას მანეთ ფულად შემოსავალს მიიღებს, მომავალ წელს კი ორჯერ მეტს.

უკანასკნელ პერიოდში კოლმეურნეობის გამგეობამ მიიღო ზომები სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დარღვევათა აღმოსაფხვრელად. აღნიშნულ ღონისძიებათა განხორციელებას ხელი შეუწყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ „სასოფლო-სამეურნეო არტელების შემდგომი ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცების საქმეში სტალინირის რაიონის სოფელ ერედვის, სიღნაღის რაიონის სოფელ ბოდბისა და კასპის რაიონის სოფელ ქვემო ჭალის კოლმეურნეობათა გამოცდილების შესახებ“.

ამას წინათ კოლმეურნეობის კრებამ ერთსულოვნად მოიწონა სტალინირის რაიონის სოფელ ერედვის, სიღნაღის რაიონის სოფელ ბოდბის და კასპის რაიონის სოფელ ქვემო ჭალის კოლმეურნეობების მიერ შემდგომი ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცების საქმეში განხორციელებული ღონისძიებანი. კრებამ ცვლილებები შეიტანა სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდებაში — საკარმიდამო მიწათსარგებლობის და პირადი საკუთრების პირუტყვის სულადობის ნორმების განსაზღვრის ნაწილში, კრებამ საკარმიდამო ნაკვეთის ოდენობა დააწესა 0,25-დან 0,5 ჰექტარამდე, ხოლო კოლმეურნეთა პირად სარგებლობაში მყოფი პირუტყვის სულადობა შემდეგი ოდენობით: ერთი ძროხა ერთ წლამდე ასაკის ნამატით, ერთი დედალორი 6 თვემდე ასაკის ნამატით, კურდღელი, ფუტკარი და ფრინველი განუსაზღვრელი რაოდენობით.

სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდებაში შეტანილი ეს ცვლილება კიდევ უფრო განამტკიცებს კოლმეურნეობას, განავითარებს კოლმეურნეობის საზოგადოებრივ მეურნეობას და ხელს შეუწყობს კოლმეურნეობის დოვლათის შემდგომ ზრდას.

**ს. კუპავა.**

## ზვრების ბარაქა

**მაიაკოვსკელმა** მევენახეებმა წელს სამშობლოს 7.000 ტონა ყურძენი უნდა მისცენ. თუ გავითვალისწინებთ, რომ ზესტაფონისა და თერჯოლის რაიონების შემდეგ მაიაკოვსკის რაიონის მშრომელებმა დასავლეთ საქართველოში ყველაზე მეტი ყურძენი უნდა მიჰყიდონ სახელმწიფოს, ადვილი წარმოსადგენია აქაურ მევენახეთა დიდი მოვალეობა.

ამიტომაც ეშურებიან დროსა და ამინდს მაიაკოვსკელები. თუმცა გამუდმებული წვიმების გამო რთველი აქ შარშანდელთან შედარებით დაგვიანებით დაიწყო, კოლმეურნეობები და კოლმეურნეები მიმღებ პუნქტებს ყოველდღიურად აბარებენ 400-500 ტონა ყურძენს.

ქალი და კაცი, დიდი და პატარა ზვრებშია გასული... ხვავდება აქაური ვაზის ბარაქა — ცოლიკაურთან ერთად მარნებში გზავნიან ციცქას, კრახუნას, მწვანეს, ძველშავს. ალადასტურს... შეუფერხებლად იღებენ და ამუშავებენ ყურძენს ვარციხის, ობჩის, წითელხევისა და დიმის ღვინის ქარხნები. მაგრამ ასე არ ითქმის მაიაკოვსკის ღვინის ქარხანაზე, სადაც ჩამბარებელთა რიგებია. ავტომანქანებსა და ურმებს აქ საათობით უხდებათ ცდა.

არახელსაყრელი ამინდის მიუხედავად, მოწინავე კოლმეურნეობებმა სტიქიას სძლიეს და უხვი მოსავალიც მოიყვანეს. სოფელ მაიაკოვსკის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ა. კიკნაველიძე) სახელმწიფოს უკვე ჩააბარა გეგმით გათვალისწინებული 150 ტონა ყურძენი. აქ ჰექტარზე 55 ცენტნერის ნაცვლად 65 ცენტნერს იღებენ. კოლმეურნეობას გადაწყვეტილი აქვს 200 ცენტნერით მეტი ყურძენი მიჰყიდოს სახელმწიფოს.

ამ კოლმეურნეობაში რთველი ყველაზე წინ დაამთავრა მეოთხე ბრიგადამ, რომელსაც გამოცდილი მევენახე დავით სვანიძე ხელმძღვანელობს. მან საშუალოდ ჰექტარზე 90 ცენტნერი ყურძენი მიიღო, გეგმა კი 60 ცენტნერს ითვალისწინებდა. ჰექტარზე 80 ცენტნერზე მეტი ყურძენი მიიღო პირველმა ბრიგადამ, რომელსაც სოციალისტური შრომის გმირი კალისტრატე ქარაბაკი ხელმძღვანელობს. განსაკუთრებით უხვი მოსავალი მიიღეს იმ ვენახებში, რომლებსაც კოლმეურნეები გრიგოლ ქარაბაკი, გრიგოლ გელხვეიძე, თადეოზ წითაძე, ილია და პავლე რობაქიძეები უვლიდნენ. მაგალითად, ი. რობაქიძემ ჰექტარზე გაანგარიშებით 200 ცენტნერი ყურძენი მიიღო, ხოლო გ. გელხვეიძემ — 150 ცენტნერი.

— ჩვენს კოლმეურნეობასა და კოლმეურნეებს, — განაცხადა სოფელ წითელხევის ფრუნზეს სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ა. გრძელიძემ, — გადაწყვეტილი აქვთ ყურძნის მთელი მოსავალი სახელმწიფოს მიჰყიდონ. კოლმეურნეობა გეგმით გათვალისწინებული 190 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს 215 ტონა ყურძენს მიჰყიდის. ამ სოფლის კოლმეურნეებმა სახელმწიფოს უკვე 500 ტონაზე მეტი ყურძენი მიჰყიდეს, სულ კი 800-მდე ტონას ჩააბარებენ.

უკანასკნელ დღეებში რაიონში საშუალოდ ყურძნის შაქრიანობამ 19-20 პროცენტს მიაღწია, ხოლო დიმის, მაიაკოვსკის, ვარციხისა და როხის კოლმეურნეობებში მოკრეფილი ყურძნის შაქრიანობა 22-23 პროცენტსაც კი აღწევს. ასე რომ იმერული ღვინო მაინც კარგი დადგება.

**შ. ჯაჯახაძე.**

# სამშობლო ელის ოსტატებს

სოციალისტური მრეწველობის განვითარება, ტექნიკის განუწყვეტელი ზრდა, საწარმოო პროცესების მექანიზაცია და ავტომატიზაცია ახალ დიდ მოთხოვნებს უყენებს მრეწველობაში და სოფლის მეურნეობაში მომუშავე რიგით ადამიანებს პროფესიული დახელოვნებისა და კულტურული დონის ამაღლების საქმეში.

დღევანდელ ეტაპზე პროფესიულ-ტექნიკური განათლების სასწავლებლებში, აგრეთვე წარმოებაში ახალგაზრდობის ინდივიდუალურ-ბრიგადული წესით სწავლების დონე მხარს ვერ უსწორებს წარმოების ტექნიკურ პროგრესს და ვერ აკმაყოფილებს სახალხო მეურნეობის მზარდ მოთხოვნებს.

ყოველივე ამან გამოიწვია პროფესიულ-ტექნიკური განათლების ფორმისა და შინაარსის შეცვლა. საბჭოთა კავშირის ტექნიკურ-ეკონომიური განვითარების პერსპექტივები სულ უფრო დიდ მოთხოვნებს უყენებს სახალხო მეურნეობის ყველა დარგისათვის საჭირო მუშათა კადრების საწარმოო კვალიფიკაციას. ამ პირობებში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება ახალგაზრდობის პროფესიულ-ტექნიკური განათლების ფართოდ განვითარებას.

პარტიისა და მთავრობის მიერ უკანასკნელ ხანს მიღებულ გადაწყვეტილებებში სკოლების მუშაობის გარდაქმნის შესახებ ნათლად აღნიშნულია პროფტექნიკური განათლების სისტემის სასწავლებლების გარდაქმნის აუცილებლობა. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული კანონის შესაბამისად ადრე არსებული შრომითი რეზერვების სახელოსნო, რკინიგზის, სამშენებლო, სამთო-სამრეწველო, ტექნიკური სასწავლებლები, საფაბრიკო-საქარხნო სკოლები, სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სასწავლებლები, საფაბრიკო-საქარხნო შეგირდობის სკოლები და სახალხო მეურნეობის საბჭოებისა და უწყებების სხვა პროფესიული სასწავლებლები 1959-1963 წლებში უნდა გარდაიქმნან ქალაქის დღისა და საღამოს პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებად — ერთი წლიდან სამ წლამდე სწავლების ვადით და სოფლის პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებად — ერთი-ორი წლის სწავლების ვადით. აღნიშნული სასწავლებლები პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემას დაექვემდებარებიან.

ქალაქის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები სპეციალიზებული იქნებიან სახალხო მეურნეობის დარგების მიხედვით და მოამზადებენ სამრეწველო წარმოების, ენერგეტიკის, ქიმიური მრეწველობის, მშენებლობების, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, კომუნალური მეურნეობის და კულტურულ-საყოფაცხოვრებო ორგანიზაციებისათვის გარკვეული პროფესიების ახალგაზრდა კვალიფიციურ მუშებს იმ ახალგაზრდებიდან, რომლებმაც დაამთავრეს ზოგად-საგანმანათლებლო სკოლების რვა კლასი.

სოფლის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები სპეციალიზებული იქნებიან კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის კადრების მომზადებაზე. ეს სასწავლებლები მოამზადებენ მემანქანე-ტრაქტორისტებს, სასოფლო სამეურნეო ტექნიკის შემკეთებელ მექანიკოსებს, სოფლის ელექტროფიკაციისა და რადიოფიკაციის ელექტრომექანიკოსებს, მჭედლებს, მშენებლებსა და სხვა პროფესიის კვალიფიციურ მუშებს.

შემუშავებულია და დღეისათვის უკვე არსებობს რამდენიმე დასახელების პროფესიების სწავლების პროექტი, რომელიც გათვალისწინებულია ახალი პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლებისათვის.

მრეწველობის ბევრი დარგისათვის გათვალისწინებულია ფართო პროფილის პროფესიების კვალიფიციური მუშების მომზადება. მათ უნდა შეეძლოთ რამდენიმე რთული ჩარხის, მანქანისა და აგრეგატის მომსახურება. პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში სწავლების ვადები დადგენილი იქნება იმის მიხედვით, თუ როგორი უნდა იყოს მუშის ტექნიკური მომზადება და საწარმოო კვალიფიკაცია. ერთწლიანი სწავლება დადგენილი იქნება იმ კვალიფიციური მუშის მოსამზადებლად, რომელიც იმუშავებს ერთი ტიპის მოწყობილობაზე.

ორწლიანი სწავლება დადგენილი იქნება იმ კვალიფიციური მუშების მოსამზადებლად, რომლებსაც შეეძლებათ რამდენიმე პროფესიის შეთავსება, რაც იძლევა ფართო პროფილის უნივერსალურ სპეციალობას. ასეთი კვალიფიკაციის მუშებს უნდა ჰქონდეთ ღრმა პრაქტიკული გამოცდილება და საფუძვლიანი საერთო ტექნიკური განათლება.

სამწლიანი სწავლება დადგენილ იქნება განსაკუთრებით რთული, უნივერსალური პროფესიის, ფართო პროფილის, მხატვრული ხელობის მცოდნე კვალიფიციური მუშების მოსამზადებლად.

პროფესიულ-ტექნიკური მომზადების ძირითადი ფორმა იქნება სასწავლო-საწარმოო სწავლება და საწარმოო პრაქტიკა, რომელიც მოეწყობა სასწავლებლის როგორც სასწავლო სახელოსნოებში, ისე საწარმოების საამქროებში საწარმოო სწავლების ოსტატის ხელმძღვანელობით.

ქალაქის პროფტექნიკური სასწავლებლებისათვის საწარმოო სწავლების ოსტატთა კადრების მოსამზადებლად გახსნილია პროფტექნიკური განათლების თბილისის ინდუსტრიული ტექნიკუმი. ხოლო სოფლის პროფტექნიკური სასწავლებლებისათვის საწარმოო ოსტატების მომზადება უნდა მოხდეს სპეციალურ სოფლის მეურნეობის ტექნიკუმებში. სასწავლებლებისათვის ინჟინერ-პედაგოგთ და ხელმძღვანელ ტექნიკურ მუშაკთა კადრებს მოამზადებენ საქართველოს ტექნიკური უმაღლესი სასწავლებლები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული შრომითი რეზერვების მთავარი სამმართველო გარდაიქმნა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტად. ამ ღონისძიების მიზანია პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის უკეთ მოწყობა. ამასთან კომიტეტს დავალებული აქვს მეცნიერულად დაამუშაოს და განაზოგადოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების გამოცდილება.

საქართველოში პროფესიულ-ტექნიკური განათლების გაუმჯობესებისათვის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით შრომითი რეზერვების რესპუბლიკური სამმართველო გარდაიქმნა საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებულ პროფესიულ-ტექნიკური განათლების მთავარ სამმართველოდ, რომელსაც გადაეცა სახალხო მეურნეობის საბჭოს სამინისტროებისა და სხვა უწყებების პროფესიული სასწავლებლები და დაევალა რესპუბლიკაში პროფესიულ ტექნიკურ განათლების ხელმძღვანელობა.

უკვე გადადგმულია პირველი ნაბიჯები პროფესიულ-ტექნიკური სწავლების ახლებურად მოწყობასთან დაკავშირებით.

კანონში „ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და სსრ კავშირში სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების შესახებ“ გათვალისწინებულია პროფტექნიკური სასწავლებლების ნაწილობრივ თვითანაზღაურებაზე თანდათანობით გადაყვანა. ეს ამოცანა უნდა გადაიჭრას პროფესიული სასწავლებლების საწარმოო საქმიანობის თანდათანობით გაფართოების, მათი შემოსავლიანობის გადიდების და უნაყოფო ხარჯების შემცირების გზით.



სასწავლებლებმა უკვე გაშალეს ნაყოფიერი მუშაობა თვითანაზღაურებაზე გადასვლის მიზნით და გარკვეულ წარმატებებსაც მიაღწიეს. ამ მხრივ ღირსშესანიშნავი ინიციატივა გამოიჩინეს ქუთაისის № 4 სახელოსნო სასწავლებლის პედაგოგიურმა კოლექტივმა და მოსწავლეთა კომკავშირულმა ორგანიზაციამ. ამ სასწავლებლის კოლექტივმა გადაწყვიტა სახალხო მეურნეობის საბჭოს, ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის ავტოქარხნის და სხვადასხვა ორგანიზაციებისაგან მიღებული შეკვეთების შესრულებით, შრომის ნაყოფიერების ზრდით, გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით და სხვა ღონისძიებებით 1959-60 სასწავლო წლიდან სასწავლებელი გადაიყვანონ 50-55-პროცენტიან თვითანაზღაურებაზე, 1962 წლისათვის კი სრულ თვითანაზღაურებაზე. ქუთაისის № 4 სახელოსნო სასწავლებლის კოლექტივის ეს ინიციატივა მოიწონეს საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიურომ, საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებული პროფტექნიკური განათლების მთავარი სამმართველოს კოლეგიამ და მიიღეს ერთობლივი დადგენილება, რომ სხვა სასწავლებლებმაც მიბაძონ ქუთაისელთა მაგალითს.

ახალგაზრდობის პროფესიულ-ტექნიკური განათლების გარდაქმნა დიდ ამოცანებს უყენებს საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებულ პროფტექნიკური განათლების მთავარ სამმართველოს და რესპუბლიკის ყველა პროფტექნიკურ სასწავლებლებს. მხოლოდ ენერგიული და დაძაბული მუშაობით შევძლებთ მაქსიმალურად დავაკმაყოფილოთ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის ყველა დარგი კვალიფიციურ მუშათა კადრებით.

**მ. ჩიხლაძე,**
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პროფესიულ-ტექნიკური განათლების მთავარი სამმართველოს უფროსი.

• • •

**სურათზე:** თბილისის № 5 სახელოსნო სასწავლებლის მოსწავლეები სახელოსნოს სასწავლო საამქროში პრაქტიკული მეცადინეობის დროს. წინა პლანზეა სწავლის წარჩინებული ჩ. მაისურაძე.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

# „უამინდობიდან“ — „კარგი ამინდისაკენ!“

## უცხოეთის გამოხმაურებანი ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებაზე

**საბჭოთა მთავრობის მეთაურის გამოსვლა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე კვლავ უცხო ქვეყნების საზოგადოებრიობისა და პრესის ყურადღების ცენტრშია**

### ჩინეთი

**პეკინი,** 1 ნოემბერი. (სიპდესი). [illegible] 1959 წლის 31 ოქტომბერს და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიმართვა „მსოფლიოს ყველა ქვეყნის პარლამენტებისადმი“ მიაჩნია როგორც კიდევ ერთი მკაფიო დადასტურება საბჭოთა კავშირის თანამიმდევრული ბრძოლისა საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის და მთელი მსოფლიოს მშვიდობის განმტკიცებისათვის.

ჩინეთის დღევანდელმა გაზეთებმა გამოაქვეყნეს საინფორმაციო ცნობა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს III სესიის მუშაობის დამთავრების შესახებ და ცნობა ნ. ს. ხრუშჩოვის გამოსვლის შესახებ სესიაზე.

პეკინის ცენტრალურმა სახალხო რადიოსადგურმა დღეს საღამოს გადასცა „საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობისა და საგარეო პოლიტიკის შესახებ“ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების სრული ტექსტი. ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება გადასცა ჩინეთის ყველა რადიოსადგურმა.

### უნგრეთი

**ბუდაპეშტი,** 1 ნოემბერი. (სიკდესი). „საბჭოთა მთავრობა ესწრაფვის იმას, რომ საერთაშორისო ვითარების შენელება გადაიქცეს მტკიცე მშვიდობად“, „ხრუშჩოვი ახალი საერთაშორისო ატმოსფეროსა და საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის შესახებ“ — ასეთი სათაურებით ბეჭდავენ ბუდაპეშტის კვირის გაზეთები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე ნ. ს. ხრუშჩოვის [illegible] თაშორისო საკითხები, ეხება საყოველთაო განიარაღებას.

გაზეთი „მადიარ ნემზეთი“ აღნიშნავს, რომ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება ეხება „ყველაზე მთავარ, ყველაზე დიდმნიშვნელოვან საკითხს, კაცობრიობის მშვიდობას“.

### იუგოსლავია

**ბელგრადი,** 2 ნოემბერი. (სიკდესი). გაზეთმა „ბორბამ“ გამოაქვეყნა კომენტარები ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების გამო საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობისა და საგარეო პოლიტიკის შესახებ, რომელიც გააკეთა მან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე.

საბჭოთა მთავრობის მეთაურის ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე, წერს „ბორბა“, თავისი ძირითადი მიზნებით, შინაარსითა და ტონით უშუალოდ ხელს უწყობს საერთაშორისო ატმოსფეროს გაუმჯობესების შემდგომ ღონისძიებებსა და აქტუალური პრობლემების გადაჭრას ახალი მეთოდებითა და საშუალებებით. გაზეთი აღნიშნავს, რომ ამ მოხსენებას მით უმეტეს დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ იგი გაკეთებულია საერთაშორისო განვითარების ისეთ დიდმნიშვნელოვან მომენტში, როცა საჭიროა ახალი დადებითი მოქმედება საერთაშორისო დაახლოების ხანგრძლივი პროცესის საფუძველთა პრაქტიკული და კონკრეტული განმტკიცებისა და პრობლემების მოთმინებით გადაჭრისათვის დემოკრატიულ საფუძვლებზე.

[illegible] საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ.

ნ. ს. ხრუშჩოვმა სესიაზე განაცხადა, რომ უმაღლესი დონის თათბირის მოწვევის წარმატებას ხელს შეუწყობს ყველა სახელმწიფოს მტკიცე გადაწყვეტილება არ განახორციელონ რაიმე მოქმედება, რომელსაც შეუძლია გააუარესოს საერთაშორისო ატმოსფერო.

სოციალისტურ იუგოსლავიაში, ნათქვამია დასასრულ სტატიაში, აქტიურად უჭერენ მხარს ყოველივე იმას, რასაც მოჰყვება დადებითი პრაქტიკის დამყარება საერთაშორისო ცხოვრებაში.

### საფრანგეთი

**პარიზი,** 2 ნოემბერი. (საკდესი). სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე კვლავ საფრანგეთის პრესის ყურადღების ცენტრშია. დღეს პარიზის ყველა გაზეთი თვალსაჩინო ადგილას ბეჭდავს ამ მოხსენების შინაარსს.

საფრანგეთის პრესა აღნიშნავს საბჭოთა მთავრობის მეთაურის მოხსენების დიდ მნიშვნელობას და აცხადებს, რომ მოხსენება გამსჭვალულია მისწრაფებით შენელდეს საერთაშორისო დაძაბულობა. „ვრცელი სიტყვა, რომლის მიზანია საერთაშორისო დაძაბულობის შენელება“ — ასე უწოდებს ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებას გაზეთი „ფიგარო“ და ბეჭდავს ამ სათაურს მთელ გვერდზე.

„მშვიდობის აქტი“ — ასეთი სიტყვებით ახასიათებს ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების შინაარსს გაზეთ „ლუმანიტეს“ მოწინავე სტატიის ავტორი ეტიენ ფაჟონი. „ხრუშჩოვის მოხსენება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე წერს იგი, — ორმაგად აინტერესებთ ფრანგებს. მართლაც, იგი ეხება ერთსა და იმავე დროს როგორც ისეთ საკითხებს, რომელთაც ძირითადი მნიშვნელობა აქვთ მთელი მსოფლიოსათვის, ისე საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის განსაკუთრებულ პრობლემებს.

— რაც შეეხება საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობას, — განაგრძობს ე. ფაჟონი, — ხრუშჩოვის მოხსენებაში ამ ურთიერთობას დათმობილი აქვს განსაკუთრებული ადგილი. მოხსენებაში გამოთქმულია მტკიცე მისწრაფება გაკეთდეს ყოველივე აუცილებელი იმისათვის, რომ განმტკიცდეს და სავსებით აღდგეს საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობა, რაც გონებისა და ისტორიის მოთხოვნაა“.

აღნიშნავს რა, რომ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების ის ნაწილი, რომელიც ალჟირს ეხება, „შესაძლებელია, ყველაზე მეტად გვიხატავს სსრ კავშირისა და საფრანგეთის გრძნობებს“, ავტორი ხაზს უსვამს იმას, რომ საბჭოთა კავშირის სამართლიანი ანტიკოლონიალისტური პოზიცია ალჟირის საკითხში „სრულებითაც არ არის საფრანგეთის საწინააღმდეგო“. „პირიქით, — ნათქვამია სტატიაში, — სსრ კავშირი სინანულს გამოთქვამს იმის გამო, რომ ალჟირის ომი სერიოზულად ლახავს ჩვენი ქვეყნის პრესტიჟს და ამცირებს მის, როგორც დიდი სახელმწიფოს, როლს“.

„ამრიგად, საქმე ეხება საფრანგეთს თუ მთელ მსოფლიოს, — დაასკვნის ეტიენ ფაჟონი, — ხრუშჩოვის მოხსენება მშვიდობის აქტია. იგი კეთილი ნებისა, ნდობისა და ძალის დადასტურებაა.

# ერის მტერი

**რათ გიყვარს** შვილი?

უცნაური კითხვაა! როგორ არ გეყვარება შენი სისხლი და ხორცი, ჭკუა და გონება, სიცოცხლე და სიხარული. რამდენი შფოთიანი და უძილო ღამე გაგითენებია მის გაზრდაში. გახსოვს მისი ავადმყოფობა? ათრთოლებული გულით რომ დასცქეროდი, სიცხისაგან გავარვარებულ მის ტუჩებს და შენც შფოთავდი, ღელავდი. ისიც კარგად გემახსოვრება, ყველაფერს რომ იკლებდი. არაფერს არ იშურებდი, ოღონდაც მამულისათვის სასახელო შვილი გაგეზარდა. ეჰ, უცნაური კითხვაა, რა ენა ასწერს...

რათ გიყვარს შვილი?!

და განა მარტო შვილი გიყვარს. ყველაფერს ეტრფი, რასაც შენი მარჯვენა შეხებია, რაშიც ოფლი ჩაგიღვრია, რაც გაგიზრდია და დაგივაჟკაცებია, ამაგი გაგიწევია, რაზეც დაღლილხარ და დაქანცულხარ. განა არ გიყვარს შენი ხელით დარგული ხე, შენი ხელით მოვლილი ეზო-ყურე, აბა როგორ არ გეყვარება ბაღი, ვენახი, რომელთა მოვლაზე ხელები დაგკოჟრებია, მზეში და ქარში ბეჭებზე ტყავი გადაგძრომია, ოფლად დაღვრილხარ...

აბა ახლა გლეხს შეეკითხე, რათ გიყვარს ვაზიო.

და იგიც გიპასუხებს — უცნაური კითხვაა! რათ მიყვარს და, იგი ჩემი პირმშოა, მიყვარს იმიტომ, რომ შვილივით გამიზრდია, მიყვარს თვითეული მისი ყლორტი, მისი ლერწი... კვირტს რომ ამოიყრის, გული მინათდება, ბედნიერ მომავალს ვხედავ, ხალისი მემატება, წუთით აღარ მინდა მოვცილდე, თოთო ბავშვივით ვუვლი...

„ვაზო, შვილივით ნაზარდო,
ულვაშებ გადგიგრეხია...
ჭირიმე შენი ფესვისა,
მოვკვდები მე შენს ძირშია,
შენით ვარ მხნე და გულადი,
იმედით გასაჭირშია“!

მივუჯდები ფესვებთან და ვეალერსები, თავს ვევლები, ვეჩურჩულები, ბავშვივით ვეტიტინები... აბა კარგად დაუგდე ყური, მისი სუნთქვაც კი გესმის, თუ ავად გახდება, შვილივით ვმკურნალობ, მოვარჩენ, გავახარებ... ცა მოიღრუბლა? გულზე დარდი მაწვება, ის სატიალო პირქუში ღრუბლები თითქოს ჩემს მკერდზე დაბობღავენო... სეტყვამ წამოაყარა? მე უფრო მეტად მტკივა, გულს მილადრავს, იარას მიჩენს...

როცა ვაზთან არა ვარ, ვშფოთავ, მოვუსვენრობ, ადგილს ვერ ვპოულობ, ვეჩქარობ მალე ვნახო ჩემი საყვარელი ვენახი. ასე მგონია, უჩემოდ ისიც მოწყენილია, ჩავალ და ორივე გავმხიარულდებით, მე სიმღერას წამოვიწყებ, ისიც ფოთლების შრიალით მეხმიანება, ახმაურდებიან ვაზის რიგები. ღმერთმა ნუ ქნას, რომ ჩვენ ერთმანეთს დაგვაცილონ... აბა როგორ არ უნდა მიყვარდეს ჩემი ღვაწლი და ამაგი, ჩემი სიცოცხლე და სიხარული. როცა სხელას ვიწყებ, ვფრთხილობ, ასე მგონია სტკივა და ხმას არ იღებს-მეთქი:

„შენი ზედაშის მადლს ვფიცავ,
შენ არ მოგაკლო ბარია,
გაგსხლა, შეგყელო, გაგთოხნო,
არც კი ჩნდეს მონათხარია;
გაგფურჩნო, გაგალამაზო,
როგორც რომ პატარძალია,
აღარ დავზოგო მე შენთვის
ჩემი ღონე და ძალია“.

აბა, მაშ როგორ არ უნდა მიყვარდეს ვაზი?!

ვაზის სიყვარული ქართველს ძველთაგან მოსდევს. რქაწითელი და საფერავი ამშვენებდა კახეთის ველებს, მთებსა და ფერდობებს. მთელი ქვეყანა წალკოტად იყო გადაქცეული, შირაქში ტარიბანა და ზილიჩა ვაზების სამშობლოდ იყო ცნობილი. ვინ მოსთვლის, რამდენი ქვევრის ნამსხვრევი ამოუგდია ტრაქტორის სახნისს, ვინ იცის ახლაც რამდენი ქართული ქვევრი წევს შირაქის ამ ბარაქიან მიწაში. სამი საუკუნის წინათ შემოსეულმა მტერმა, ქართველი ხალხის შეუპოვრობით გაბოროტებულმა, გაჩეხა და გაანადგურა ვაზი. ამასვე მოგვითხრობენ ჩვენი ისტორიკოსები „მტრები კაფავდნენ ზვრებსა და ვენახებს, სპობდნენ თუთისა და კაკლის ხეებს, არსად სტოვებდნენ ოთხფეხ საქონელს“. შაჰ აბასმა დასწვა და გადაბუგა ვენახები, გააშიშვლა სამგორისა და ალაზნის ველები, ცივგომბორის ფერდობები. გადამთიელი ქვას ქვაზე არ სტოვებდა, ოღონდაც მოსპობილიყო ქართველი ხალხი. იგი გაბოროტებით ამბობდა: მოსპეთ ვაზი, მოისპობიან ქართველებიცო. ბარბაროსები ლამობდნენ სამუდამოდ მოესპოთ ქართველი ხალხის სიყვარული ვაზისადმი, გლეხკაცის იმედი, მისი სიცოცხლე. მაგრამ ქართულმა მიწამ თავის სიღრმეში დამალა ვაზის ფესვები, როცა ხალხმა მტერი განდევნა, კვლავ ამოხეთქა ვაზმა, კვირტებად იფეთქა, კვლავ აბიბინდნენ ნაფუზრები.

**„ქვეყნად რომ ვაზი გადარჩეს ერთიც, ისიც სამშობლო ქართლს ახსენებს“.**

ოქტომბრის მზემ ნათელი მოჰფინა ქართულ მიწას. დღითიდღე იზრდებოდა ქართლის, კახეთის, იმერეთის, რაჭის ვენახები. ვაზიანში აყვავილდა ვაზი, ბარაქა დაედო საკოლმეურნეო ვენახებს.

აბა გახედეთ კახეთის ველებსა და მინდვრებს, მთასა და ბარს, გული სიამით აგევსებათ, გომბორის მთებიდან ალაზნის ველის შუაგულში შეჭრილა ვაზის რიგები. ქალი თუ კაცი, ჭაბუკი და მოხუცი ალიონიდან დაღამებამდე ვენახებში ფუსფუსებენ, თვითეულ ვაზს სათუთად უვლიან და პატრონობენ.. ირიჟრაჟებს და აგუგუნდებიან ავტომანქანები, კოლმეურნეები მიეშურებიან საყვარელი ვენახებისაკენ. ისინი, შრომით დაქანცულნი შებინდებისას ბრუნდებიან შინ.

გინდა გული მოუკლა კოლმეურნეს?.. მიდი და შვილივით გაზრდილი ვაზი მოუჭერ. ეს იგივეა, რომ შვილი მოუკლა...

აი, თავშლიანი დედაკაცი დაფუსფუსებს და ელამუნება ვაზს. იმიტომ მოვიდა, რომ შვილივით უყვარს იგი, თორემ ზაფხულის ამ პაპანაქებაში რა ჩამოიყვანდა. აბა შეხედეთ, თავშლის წვეროები კეფასთან გაუნასკვავს, ოფლი წურწურით ჩამოსდის ღაწვებზე, თვალებში კი სიხარულის ნათელი ჩასდგომია. შეხედეთ რა სიამით უფათურებს დაკოჟრილ თითებს დამსხვილებულ მტევნებს, გულში იხუტებს, ეალერსება. განა ცოდვა არ იქნება მას ვაზი მოუჭრა? ეს ხომ იგივეა, რომ გულში დანა ჩასცე.

ურმის კოფოზე წამომჯდარ ვეჯინელ კოლმეურნეს ნატალია გაბიტაშვილს გამარჯვებულის იერი ჰქონდა. წელს მისმა ოჯახმა ბევრი იშრომა. ამაგიც დაუფასდა, დახუნძლულმა ვაზებმა გული გაუნათა, ახლა იმაზეღა ფიქრობს, სად წაიღოს ამდენი ყურძენი... მიდის და ოცნებობს ნატალია.

— ნაწილს მარანში ჩავაბარებ, ნაწილს კი ოჯახისათვის დავწურავ, სტუმრებისათვის დამჭირდება.

ახლა სახლისკენ მიეჩქარება, რთველი ახლოვდება და ქვევრები დასარეცხი აქვს. ვინ მოსთვლის რამდენი რამ აქვს გასაკეთებელი, პური გამოსაცხობია, გოდრების დაწვნაც სჭირდება. ნაცნობები და ნათესავები ხომ უნდა მოიპატიჟოს ქალაქიდან, ყურძნის კრეფაშიც უშველიან და დროსაც გაატარებენ. ჩურჩხელებისთვის ნიგოზი აქვს ასასხმელი, ჩამიჩისათვის ყურძნის ჩხირებიც არ მოუმზადებია..

— რთველი მექნება, რა რთველი!

ქალარა კავკასიონთან შავ ლანდებად წამომდგარიყვნენ ღრუბლები, დედაკაცმა კუშტად შეხედა, გულის ძარღვები დაეჭიმა. წყეულმა სეტყვამ გლეხის გამწარება სწორედ მაშინ იცის, როცა რთველი კარზეა მომდგარი. მაგრამ მალე გამოიდარა, შვებით ამოისუნთქა ნატალიამაც.

როცა სახლში დაბრუნდა, ეზო-ყურეს მიუტრიალდა, შებინდების პირი იყო, და ქათმებს საკენკი დაუყარა.

— აღარ მასვენებენ ეს უცხო ვერანები!

— რას იწყევლები, ნატო, განა შენი ქათმები არ მაწუხებენ?

— შენც დასწყევლე და გამოყარე! — შეუტია ნატალიამ მეზობელს. — შენი ქათმები კი არა, დღედაღამ აქა ყრიან ქოსმენები, შენმა ნეზვმა ღობე გამინგრია, თხამ ვაშლის ნერგები გადამიკორტნა და ვინ მოსთვლის... მოვლა უნდა. თუ შენახვის თავი არა გაქვს, ნურც იყოლიებ.

ამის თქმაზე მეზობლის ქალი გაცეცხლდა. პირი მოუშვა და რაც ენაზე მოადგა, ყველაფერი გადმოანთხია, შემდეგ ქმარი წამოეშველა. ონისიმე გაბიტაშვილი ცოლს გამოექომაგა და ნატალიას ლაზათიანად შეურაცხყო.

— არ გააჩერებ მაგ მოწამლულ ენას?!
— კაცს დახე, ქალების ჩხუბში ერევა.
— გაჩუმდი, შე სულძაღლო, თორემ...
— შენც კაცი გქვიან, ქუდი გხურავს.
— როგორ თუ კაცი გქვიანო! —

დაიღრიალა გაცოფებულმა ონისიმემ და წალდს წამოავლო ხელი. მეზობლებმა დააკავეს, თორემ..

ამ ჩხუბის შემდეგ რამოდენიმე დღე გავიდა. ნატალია ვენახში მიიჩქარის. გული იქითკენ მიუწევდა. დღე-დღეზე რთველი უნდა ჰქონოდა. სახლში ვეღარ ისვენებდა. ადგა და ვენახისაკენ გაეშურა. მიდიოდა და გული მიუმღეროდა, გარუჯულ სახეზე სიხარული დასთამაშებდა. ყურძენი უკვე დამწიფდებოდა, სიტკბო უნდა გავუსინჯოო.

მაგრამ...

როცა ვაზის რიგებში შევიდა, ელდანაცემი დედაკაცი შეშლილს დაემსგავსა, უცნაურად შეაჟრჟოლა, სახეზე ბუსუსი აეშალა, თვალები საშინლად დაუგანივრდა და გაოგნებულმა თმაზე იტაცა ხელი, თავშლის ბოლოები ყელში წაიჭირა, მუხლები მოეკვეთა, ნახნავში ბარბაცით დააბოტებდა, ჩაიჩოქა, შემდეგ ზეცისაკენ ააპყრო გასისხლიანებული თვალები და სასოწარკვეთით შეღაღადა:

— მიშველეთ, შვილი მომიკლეს!..

გულწასული ნატალია მომიჯნავეებმა ძლივს მოაბრუნეს. მათ სინანულით გაიქნიეს თავი და ჩაილაპარაკეს:

— საბრალო დედაკაცი.

— საზიზღრობაა! ვაზის გამჩეხი ხალხის მტერია..

— უბედურება კი არა, ღვთის რისხვაა.

— შვილი მომიკლეს, ხალხნო, ნანატრად გაზრდილი შვილი! მუხლებზე დაბობღავდა ნატალია გადაჭრილ ვაზებს შორის, თანაც აკაფულ ვაზს გულში იხუტებდა. გულსაკლავად ეყარნენ ძირს სამამულე რქაზე დახუნძლული მტევნები.

გურჯაანის სახალხო სასამართლოს წინაშე წარსდგა გულღვარძლიანი ბოროტმოქმედი ონისიმე გაბიტაშვილი. თვითეული იქ დამსწრე ზიზღითა და სიძულვილით უყურებდა ადამიანს, რომელმაც უბრალო შელაპარაკების გამო მის ბიძის ცოლს, ნატალია გაბიტაშვილს ვენახი აუკაფა. უცქეროდნენ ონისიმეს, და მასში ხედავდნენ ეროვნული კულტურის გამანადგურებელს.

დიდმა ილიამაც ხომ ასე თქვა **ვაზის გამჩეხი — ერის მტერიაო.**

**გ. ხეჩუაშვილი.**

# წერილების კვალდაკვალ

## თვითნება პავლე ქათამაძე მოხსნილია თავმჯდომარეობიდან

გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციამ ზესტაფონის რაიონიდან მიიღო მამხილებელი წერილები, სადაც აღნიშნული იყო სოფელ ბოსლევის წითელი ოქტომბრის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარის პ. ქათამაძის დანაშაულებრივი საქმიანობა. წერილები შესამოწმებლად გადაეგზავნა გაზეთ „კომუნისტის“ საკუთარ კორესპონდენტს. ანალოგიური წერილები შესული იყო საქართველოს კომპარტიის ზესტაფონის რაიკომსა და ზემდგომ ორგანოებში.

შემოწმებით კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარის პ. ქათამაძის ბოროტმოქმედებანი დადასტურდა. იგი თვითნებობდა, აჭარბებდა თავის უფლებებს, მიმართავდა უხეშ ადმინისტრირებას, არღვევდა საკოლმეურნეო დემოკრატიას, ერთპიროვნულად წყვეტდა მნიშვნელოვან საკითხებს, კოლმეურნეთა კრების დადგენილების გამოუტანლად ახდენდა საკოლმეურნეო მიწების გაცემას, მაგალითად, თვითნებურად და უკანონოდ მისცა ვენახი შ. ლ. მახათაძეს, ასევე მისცა მიწები დ. მახათაძეს, გრ. მუმლაძეს, შ. მ. მახათაძეს და სხვებს.

თავმჯდომარის საეჭვო და დანაშაულებრივი წაყრუებით 0,46 ჰექტარი მიწა მიითვისა კოლმეურნეობიდან გარიცხულმა მ. მჭედლიძემ.

პ. ქათამაძემ თვითნებურად მისცა მიწის ორი ნაკვეთი (2.886 კვადრატული მეტრი) კოლმეურნეობის მოანგარიშეს ნორა მახათაძეს.

ასეთ დანაშაულებრივ და ამორალურ საქციელს არათუ ებრძოდა, არამედ კიდეც ჩქმალავდა კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის მდივანი ნ. მჭედლიძე. თავმჯდომარემ პ. ქათამაძემ სრულიად უკანონოდ კოლმეურნეობის აგროტექნიკოსად დააბრუნა ს. სუქნიძე, რომელიც კომბინატორობისათვის ადრე იყო მხილებული გაზეთ „კომუნისტში“ და მოხსნილი სამუშაოდან.

კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარის პ. ქათამაძის დანაშაულობანი განიხილა საქართველოს კომპარტიის ზესტაფონის რაიკომის ბიურომ, რომელმაც მიწათსარგებლობის წესებისა და საკოლმეურნეო დემოკრატიის პრინციპების უხეშად დარღვევისათვის, აგრეთვე ყოფაცხოვრებაში თავდაუჭერლობისათვის პ. ქათამაძეს გამოუცხადა საყვედური სააღრიცხვო ბარათში შეტანით. ბიუროს რჩევით კოლმეურნეთა საერთო კრებამ პ. ქათამაძე მოხსნა თავმჯდომარეობიდან.

აგროტექნიკოსი ს. სუქნიძე, როგორც შეუფერებელი და უავტორიტეტო, მოხსნილია სამუშაოდან. პროკურატურას დაევალა დააზუსტოს თერჯოლაში ვენახის ნერგის შეძენის საკითხი და დამნაშავენი მისცეს პასუხისგებაში.

პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის ჩაშლისა და ნაკლოვანებებისადმი შემარიგებლობისათვის პარტორგანიზაციის მდივანს ნ. მჭედლიძეს გამოეცხადა საყვედური და განთავისუფლებულ იქნა მდივნობიდან.

ბიურომ დასახა ღონისძიებანი კოლმეურნეობის მუშაობის გასაუმჯობესებლად.

# აქ დიდი სიცოცხლე ჩქეფს...

სამტრედიიდან სამი კილომეტრის დაშორებით რკინიგზის ლიანდაგის ახლოს, გადაშლილია თვალუწვდენელი ტრიალი მინდორი. ათეული წლის წინათ იგი დაფარული იყო ჭაობებითა და ბუჩქებით. ალბათ ამიტომაც იყო, რომ მეზობელი სოფლის მცხოვრებლებმაც ამ ადგილს ბაძგნარი უწოდეს.

საბჭოთა ადამიანების მარჯვე, ყოვლისშემძლე ხელი ამ უდაბურ ადგილსაც მისწვდა. ექსკავატორებმა და ბულდოზერებმა აახმიანეს ყრუ მინდორი. გაჩაღდა გმირული შრომა. გაჩნდა საცხოვრებელი ფარდულები და... მალე ცაში ამაყად აიმართა აგურის მექანიზებული ქარხნისა და საშენი ბლოკების ქარხნის ლამაზი კორპუსები. უკაცრიელი და აქამდე მივიწყებული ბაძგნარი კეთილმოწყობილ მშვენიერ დაბად გადაიქცა.

აქ ახლა დიდი სიცოცხლე ჩქეფს. დღედაღამ არ წყდება გმირული, თავდადებული შრომა საყვარელი სამშობლოს საკეთილდღეოდ. ბაძგნარელები მტკიცედ დგანან შვიდწლედის სასახელო ვახტზე, რათა ყოველდღე მეტი და მეტი აგური და საშენი ბლოკები მისცენ ქვეყანას. სახალხო მეურნეობის საბჭოს საშენ მასალათა მრეწველობის სამმართველოს ბაძგნარის კომბინატი ყოველთვიურ გეგმას გადამეტებით ასრულებს.

ბაძგნარის საშენი მასალების კომბინატი შვიდწლედის მანძილზე მნიშვნელოვნად გაფართოვდება. თუ ახლა იგი წლის მანძილზე 6 მილიონ ცალ წითელ აგურს უშვებს, შვიდწლედის ბოლოს ქვეყანას წელიწადში მისცემს 12 მილიონ ხარისხოვან აგურს. ბლოკების ქარხანა კი, ნაცვლად 5.200 კუბ. მეტრი საშენი ბლოკებისა (ერთი წლის გეგმა), შვიდწლედის დასასრულს სამშობლოს ყოველ წელიწადს მისცემს 10.000 კუბ. მეტრ საშენ ბლოკს.

ახლა აქ დიდი სამუშაოები წარმოებს. მალე დაიწყება ბლოკების ქარხნის რეკონსტრუქცია, დამატებით აშენდება ნედლი ბლოკების საშრობი გვირაბები, საბლოკე პემზის მიწოდება მოხდება ავტომატურად, დაიდგმება კიდევ ერთი წნეხი. აგურის ქარხანაში მალე დაიწყება ექსპლოატაცია 5 საშრობი გვირაბისა, დამთავრების პროცესშია თიხის მისაწოდებელი მექანიზებული ესტაკადა, აგურის ქარხანასთან უკვე მთავრდება რკინიგზის ჩიხის მშენებლობა.

კომბინატის დირექცია ენერგიულად ზრუნავს მუშა-მოსამსახურეთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის. რამდენიმე ორსართულიანი საცხოვრებელი სახლი ამშვენებს კომბინატის ტერიტორიას. ახლახან გაიხსნა კლუბი, რომელიც 300 მაყურებელს იტევს. კლუბთან შეიქმნა მხატვრული თვითმოქმედების წრეები, მალე დამთავრდება სპორტული მოედნის კეთილმოწყობა, კომბინატს აქვს მუშათა სასადილო, მაღაზია და სხვ. წელს აქ დაირგო 2.000 სხვადასხვა მცენარე, გათვალისწინებულია კომბინატის ეზოს ტერიტორიისა და ქარხნებთან მისასვლელი გზების მოასფალტება.

ბედნიერი სიცოცხლე ჩქეფს კომბინატში.

**დ. გოგიტიძე.**

# ეკრანზე და ცხოვრებაში

არაგვის ხეობის დიდი ნაწილი ხელისგულივით მოჩანს სოფელ არანისიდან, რომელსაც ადგილობრივი მცხოვრებნი „კინოფაბრიკას“ ეძახიან. ამის საბაბი აქვთ. არანისის წარმტაც მიდამოებშია გადაღებული „გიორგი სააკაძის“, „დავით გურამიშვილის“, „გაზაფხული საკენში“, „ისინი ჩამოვიდნენ მთიდან“ და სხვა კინოსურათების მთელი რიგი კადრები.

არანისში ამჟამადაც დიდი გამოცოცხლებაა, მიმდინარეობს ახალი ქართული, ფერადი მხატვრული ფილმის („წინ სიყვარულია“) გადაღება. სურათი იდგმება გრიგოლ ჩიქოვანის მოთხრობის მიხედვით, სცენარის ავტორია ი. კოროტკოვი, სურათს დგამს რეჟისორი კ. პიპინაშვილი, კომპოზიტორია ა. მაჭავარიანი. ფილმში ასახული იქნება ჩვენი ახალგაზრდობის ცხოვრება, საშუალო სასწავლებელდამთავრებულთა სანუკვარი ფიქრი და ოცნებები, ბავშვობის მეგობრების მზიასა და ელგუჯას დიდი გრძნობები, სიყვარული, რომელმაც ახალგაზრდები ნამდვილ ბედნიერებამდე მიიყვანა.

სურათის სიუჟეტი თითქოს არანისის ცხოვრებიდან არის აღებული. აქაურ კოლმეურნეობაშიც ხომ საშუალო და უმაღლესი განათლების მქონე ათობით ახალგაზრდა მუშაობს, აქაც ხომ ისევე უყვართ, როგორც კინოსურათის გმირებს, არანისშიც ხომ ისეთივე თავდადებული შრომაა გაჩაღებული, როგორიც ელგუჯას მშობლიურ სოფელში.

სურათში მზიას როლს ასრულებს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ლეილა აბაშიძე, ელგუჯას როლს — გოჩა აბაშიძე. სურათში მონაწილეობენ აგრეთვე სსრ კავშირის სახალხო არტისტი, სტალინური პრემიის ლაურეატი ა. ხორავა, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი დ. წეროძე, მსახიობები დ. ძიგუა, შ. უჩანეიშვილი, ო. ხატიაშვილი, მ. ურუშაძე, ნ. პიპინაშვილი და სხვები.

ახლახან დუშეთის კულტსახლში მოეწყო ახალგაზრდობის შეხვედრა კინოსურათის „წინ სიყვარულია“ შემოქმედებით კოლექტივთან.

შეხვედრა გახსნა კომკავშირის დუშეთის რაიკომის მდივანმა ქ. ბექაურმა. მოხსენება გააკეთა კომკავშირელმა მასწავლებელმა ჯილდო ცხადაიამ. სტუმრებს გულთბილად მიესალმნენ ხალიჩების საქსოვი ფაბრიკის ახალგაზრდა მუშა ზ. ველთაური, მოსწავლე ლ. არუთინოვი, გ. ქერაშვილი, მასწავლებელი ქ. დავითური. სიტყვები წარმოთქვეს რეჟისორმა კ. პიპინაშვილმა, რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა ლეილა აბაშიძემ და მსახიობმა გოჩა აბაშიძემ, რომლებსაც მაყურებლები ტაშით შეხვდნენ.

**ა. თომაძე.**



* * *

**სურათზე:** რეჟისორი კ. პიპინაშვილი და მსახიობი ლეილა აბაშიძე ფილმზე მუშაობის დროს.

# ზეიმობს პეკინი...

**პეკინი,** 2 ნოემბერი. (საკდესი). დღეს პეკინში გაიმართა ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საღამო, მიძღვნილი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 42-ე წლისთავისადმი.

საღამო მოაწყეს ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების ცენტრალურმა გამგეობამ, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოსთან არსებულმა უცხოელ სპეციალისტთა საქმეების სამმართველომ, ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების პეკინის განყოფილებამ და ჩინეთის კომკავშირის პეკინის კომიტეტმა. საღამოზე სიტყვა წარმოთქვა ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების გამგეობის მდივანმა, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კულტურის მინისტრის მოადგილემ ციან ძიუნ-ჟუიმ.

ოქტომბრის რევოლუცია, თქვა მან, არა მარტო საბჭოთა ხალხის დიადი დღესასწაულია, არამედ ჩინელი ხალხისა და მთელი მსოფლიოს მშრომელთა დიადი დღესასწაულიც არის. მთელი ჩინელი ხალხი აღნიშნავს ამ დიად თარიღს როგორც თავის დღესასწაულს.

განვლილ 42 წელიწადში, განაგრძო ციან ძიუნ-ჟუიმ, საბჭოთა ხალხმა სკკპ ხელმძღვანელობით მოიპოვა ბრწყინვალე წარმატებანი სოციალისტურ მშენებლობაში, წარმატებანი, რომლებიც აღაფრთოვანებენ მთელი მსოფლიოს ხალხებს. ახლა საბჭოთა კავშირი უკვე შევიდა ახალ ისტორიულ ეტაპში — კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის პერიოდში. დიდმნიშვნელოვანი ნიშანსვეტი, რომელიც მოასწავებს ამ ახალ ისტორიულ პერიოდში შესვლას, არის დიდებული შვიდწლიანი გეგმა. ამას წინათ საბჭოთა კავშირმა წარმატებით გაუშვა მესამე კოსმოსური რაკეტა. ავტომატურმა საპლანეტათშორისო სადგურმა გადაიღო მთვარის იმ მხარის ფოტოსურათი, რომელიც არ ჩანს დედამიწიდან, რაც საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის დიდი გამარჯვებაა. ბრწყინვალე წარმატებანი, რომლებიც საბჭოთა კავშირმა მოიპოვა სოციალისტურ და კომუნისტურ მშენებლობაში, უდავოდ უჩვენებენ მთელი მსოფლიოს ხალხებს სოციალიზმის შეუდარებელ უპირატესობასა და ცხოველუნარიანობას და სოციალისტური წყობილების გამარჯვებას, კაპიტალისტური წყობილების გარდუვალ დაღუპვას. ჩვენ სულითა და გულით ვულოცავთ საბჭოთა ხალხს ამ დიად მიღწევებს.

უდიდესი გამარჯვებანი სოციალისტურ რევოლუციაში და სოციალისტური მშენებლობის ყველა ფრონტზე, რომლებსაც ჩინელმა ხალხმა მიაღწია ათი წლის განმავლობაში, განაცხადა შემდეგ ციან ძიუნ-ჟუიმ, განუყოფელია საბჭოთა კავშირის გულწრფელი და ყოველმხრივი დახმარებისა და მხარდაჭერისაგან. ვსარგებლობ შემთხვევით და მსურს გულითადი მადლობა გადავუხადო საბჭოთა ხალხს და აქ დამსწრე ყველა საბჭოთა სპეციალისტს.

## ოქტომბრის 42-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო პეკინში

დასასრულ ციან ძიუნ-ჟუიმ თქვა: ამ დღეებში, როცა მთელი მსოფლიოს ხალხები უდიდესი აღფრთოვანებით აღნიშნავენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 42-ე წლისთავს, ჩვენ განსაკუთრებით გვახარებს ის, რომ ჩინეთისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა დიადი მეგობრობა სწრაფად განვითარდა და დღითიდღე მტკიცდება ჩვენი ხალხების შეკავშირება. და ყოველთვის გვინათებდეს ოქტომბრის რევოლუციის შუქი! კიდევ უფრო მაღლა ავწიოთ ოქტომბრის რევოლუციის წითელი დროშა და მხარდამხარ ვიაროთ წინ ახალი გამარჯვებებისაკენ! ციან ძიუნ-ჟუიმ გამარჯვება უსურვა დიდ ოქტომბერს, ჩინეთისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა ურღვევ მეგობრობასა და დარაზმულობას!

საღამოს დაესწრნენ ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების ხელმძღვანელი მოღვაწეები და აქტივისტები, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში სსრ კავშირის საელჩოს თანამშრომლები ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში სსრ კავშირის დროებითი საქმეთა რწმუნებულის ს. ფ. ანტონოვის მეთაურობით, საბჭოთა სპეციალისტები, სულ — 4 ათასზე მეტი კაცი.

საღამომ გულთბილ და მეგობრულ ატმოსფეროში ჩაიარა.

## საბჭოთა ხალხის გულისთქმა

### გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში გავრცელდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიმართვა და ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება

**ნიუ-იორკი,** 2 ნოემბერი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XIV სესიაზე სსრ კავშირის დელეგაციამ დღეს პრესისათვის გაავრცელა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიმართვა მსოფლიოს ყველა ქვეყნის პარლამენტებისადმი და ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიაზე „საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობისა და საგარეო პოლიტიკის შესახებ“.



# დირიჟორის პულტთან დობრიან პეტკოვი

**რთული** და მეტად პასუხსაგები პროგრამით წარსდგა თბილისელ მსმენელთა წინაშე ახალგაზრდა ბულგარელი დირიჟორი, დიმიტროვის პრემიის ლაურეატი დობრიან პეტკოვი.

მისი პირველი კონცერტი, რომელიც ვ. სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიის დიდ დარბაზში გაიმართა 29 ოქტომბერს, თითქმის მთლიანად მიეძღვნა გამოჩენილი გერმანელი კომპოზიტორის ი. ბრამსის ნაწარმოებთა შესრულებას.

ჩვენი საზოგადოებრიობისათვის მეტად საინტერესო იქნება იმ ფაქტის აღნიშვნა, რომ დობრიან პეტკოვის გამოსვლა საშემსრულებლო ხელოვნების ფართო ასპარეზზე მის მიერ ქართველი კომპოზიტორის ნაწარმოების შესრულებას დაემთხვა. ცამეტიოდე წლის წინ სოფიის მუსიკალური საზოგადოების წინაშე თავისი პირველი გამოსვლისათვის დირიჟორმა ბულგარელი მსმენელებისათვის სრულიად უცნობი ქართველი კომპოზიტორის — ანდრია ბალანჩივაძის პირველი სიმფონია აირჩია. მსმენელები გულთბილად შეხვდნენ და მაღალი შეფასება მისცეს როგორც ახალგაზრდა არტისტის გამოსვლას, ისე ქართველი ავტორის დიდ ნიჭსა და ჭეშმარიტ ოსტატობას.

თბილისში გამართულმა უკვე პირველმა კონცერტმა დაგვარწმუნა ახალგაზრდა ბულგარელი დირიჟორის შემოქმედებითი მისწრაფებების დიდ სერიოზულობაში.

ი. ბრამსის მეორე სიმფონიის და მისივე სავიოლინო კონცერტის შესრულებაში გამომჟღავნდა პეტკოვის საშემსრულებლო ოსტატობის თავისებურებანი. დირიჟორისათვის მეტად მახლობელი აღმოჩნდა ბრამსის მუსიკის დრამატული განწყობილება. იგი მკაფიოდ კვეთს სიმფონიის დრამატურგიული განვითარების თვითეულ საფეხურს. მკვეთრი კონტრასტებით, ნატიფი ლირიკული გზით ცხოვრების ოპტიმისტურ შეგრძნებამდე ამაღლება — ასეთია დირიჟორის მიერ ბრამსის ქმნილების გააზრება.

ანსამბლის შესანიშნავი გრძნობა და სოლისტი-შემსრულებლის გააზრების მიმართ ფაქიზი დამოკიდებულება გამოამჟღავნა დირიჟორმა ბრამსის შესანიშნავი სავიოლინო კონცერტის შესრულებისას. თუმცა, უნდა ითქვას, სოლისტის, ცნობილი საბჭოთა მევიოლინის ბორის გულდშტეინის შესრულება რამდენადმე განსხვავდება ამ ნაწარმოების პეტკოვისეული გააზრებისაგან. მევიოლინის შესრულებაში სჭარბობს ნათელი ფერები, ვაჟკაცური ნებისყოფა (ამ მხრივ შესანიშნავი იყო ფინალი). მეტი ლირიკული უშუალობის და ფილოსოფიური სიღრმის შეგრძნება იყო სასურველი კონცერტის ლირიკულ ეპიზოდებში.

დობრიან პეტკოვის მიერ კონცერტის დასასრულს დიდი ოსტატობით იქნა შესრულებული ცნობილი ბულგარელი კომპოზიტორის პ. ვლადიმეროვის „ბულგარული რაფსოდია“.

დამსწრე საზოგადოებამ მაღალი შეფასება მისცა ბულგარელი დირიჟორის საშემსრულებლო ხელოვნებას.

**მზია იაშვილი.**

• • •

**სურათზე:** დირიჟორი დობრიან პეტკოვი (მარცხნივ) და მევიოლინე ბორის გოლდშტეინი ასრულებენ ი. ბრამსის მე-2 სიმფონიას.

ფოტო ბ. დადვაძისა.

# საზღვარგარეთ

## მეგობრობის, თანამშრომლობის სულისკვეთებით

**ნიუ-იორკი,** 3 ნოემბერი. (საკდესი). გუშინ პოლიტიკურმა კომიტეტმა დაამთავრა თავისი დღის წესრიგის პირველი პუნქტის — საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ საბჭოთა წინადადების განხილვა.

დილის სხდომაზე კამათში გამოვიდნენ ურუგვაის, ცეილონის, პოლონეთის, ნეპალის, კანადისა და ტუნისის დელეგატები, რომლებმაც აღნიშნეს, რომ ახლანდელი დისკუსია განიარაღების შესახებ განსაკუთრებით ხელსაყრელ ვითარებაში მიმდინარეობს. ორატორებმა მოითხოვეს, რომ კვლავაც განმტკიცდეს სხვადასხვა სახელმწიფოს შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის სულისკვეთება.

კანადის წარმომადგენელმა ნესბიტმა, კერძოდ, ხაზი გაუსვა, რომ დიდი სახელმწიფოების ხელმძღვანელთა შორის პირადი კონტაქტის დამყარება ხელს უწყობს ისეთი ატმოსფეროს შექმნას, რომელიც ხელსაყრელია განიარაღების შესახებ მოლაპარაკების დაწყებისათვის. მან დელეგატების ყურადღება მიაპყრო იმას, რომ ცივი ომის განახლება გაართულებდა ასეთი მოლაპარაკების პროგრესს და ხელს შეუშლიდა იმ მიზნების მიღწევას, რომლებსაც ყველა ქვეყანა ესწრაფვის.

ურუგვაის დელეგატმა ველასკესმა აღნიშნა, რომ ახლანდელი დისკუსია „კემპ დევიდის სულისკვეთებით“ იყო გამსჭვალული. მან აგრეთვე ხაზი გაუსვა, რომ საყოველთაო და სრული განიარაღების იდეას მხარს უჭერს მთელი კაცობრიობა.

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციის მეთაურმა იუზეფ ვინევიჩმა განაცხადა, რომ საერთაშორისო ატმოსფეროს გაუმჯობესება მოწმობს იმისადმი მზარდ რწმენას, რომ გამალებული შეიარაღება ბოლოს და ბოლოს უნდა შეწყდეს.

პოლონეთის დელეგატმა აღნიშნა, რომ საყოველთაო და სრული განიარაღება უზრუნველყოფს იდეალურ ძალთა წონასწორობის მიღწევის ერთადერთ შესაძლებლობას, რომლის დროსაც არც ერთ სახელმწიფოს არ ექნება თავისი პოტენციური მოწინააღმდეგის უპირატესობის შიში. მან ხაზი გაუსვა, რომ განიარაღების პრობლემის გადაჭრისადმი მიდგომა უნდა ხორციელდებოდეს კონსტრუქციული თვალსაზრისით, რომელსაც მშვიდობიანი თანაარსებობა ეწოდება.

## ყოველი მხრიდან

◆ალჟირი იბრძვის, ◆ საზღვარი ოდერ-ნეისეზე მუდმივია, ◆ საფრანგეთის იარაღი ლაოსის ჯუნგლებში

**კაირო,** 2 ნოემბერი. (საკდესი). 5 წლისთავის გამო მას შემდეგ, რაც დაიწყო ალჟირელი ხალხის შეიარაღებული ბრძოლა თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, ალჟირის რესპუბლიკის დროებითი მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრმა დებაგინმა მენის სააგენტოს კორესპონდენტისადმი ინტერვიუში განაცხადა, რომ ალჟირელი ხალხი განაგრძობს ბრძოლას, სანამ არ მოიპოვებს სრულ დამოუკიდებლობას.

„ჩვენ, — თქვა შემდეგ დებაგინმა, — მზად ვართ დავიწყოთ მოლაპარაკება საფრანგეთთან „თვითგამორკვევის პრინციპის ნამდვილად განხორციელებისა და ალჟირის ტერიტორიის ერთიანობის შენარჩუნების“ პირობებში.

**ბერლინი,** 2 ნოემბერი. (საკდესი). როგორც ადნის სააგენტო იუწყება, დასავლეთ გერმანიის ბუნდესტაგის დეპუტატმა ვ. მიშნიკმა, რომელიც ამას წინათ ეწვია პოლონეთის სახალხო რესპუბლიკას, მხარი დაუჭირა იმას, რომ ცნონ საზღვარი ოდერ-ნეისეზე. იგი გამოვიდა კრებაზე მარბურგში და განაცხადა, რომ საზღვარი ოდერ-ნეისეზე, პოლონეთის ყველა პოლიტიკური წრეების აზრით, მუდმივია. საჭიროა ანგარიში გაეწიოს ამ აზრს, ხაზგასმით აღნიშნა მან, ისევე, როგორც იმას, რომ საჭეროა დასავლეთის ქვეყნებში მიღებულ იქნას რაიმე ღონისძიებანი ბონის იმ პრეტენზიების მხარდასაჭერად, რომლებსაც უყენებს იგი პოლონეთის დასავლეთის ოლქებს.

**პარიზი,** 2 ნოემბერი. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის სააგენტო იუწყება, ვიენტიანში ჩავიდა იმ ორთაგან ერთ-ერთი სამხედრო ვერტმფრინავი „ალუეტი“, რომლებსაც საფრანგეთი აწვდის ლაოსის შეიარაღებულ ძალებს. ვერტმფრინავი გამოყენებულ იქნება ოპერაციების განხორციელებისათვის ჯუნგლებში. ვერტმფრინავთან ერთად ჩავიდნენ აგრეთვე ფრანგი კონსტრუქტორები.

## ატომური რაკეტებით...

**ბერლინი,** 2 ნოემბერი. (საკდესი). ამერიკის „ონესტ ჯონის“ ტიპის ატომური რაკეტები უკვე დიდი ხანია განლაგებულია დასავლეთ გერმანიის ქალაქის კელნის რაიონში.

ადნის სააგენტოს ცნობების თანახმად, ეს ფაქტი ცნობილი გახდა იმასთან დაკავშირებით, რომ ბელგიის მეფე ბოდუენმა მოაწყო ინსპექციური მოგზაურობა რაკეტულ ნაწილში, რომელიც კელნბრიუკში მდებარეობს. ნატოს ხელისუფლები, აღნიშნულია სააგენტოს ცნობაში, დღემდე მალავდნენ, რომ ბელგიის ქვეგანაყოფები დასავლეთ გერმანიაში აღჭურვილი არიან ატომური რაკეტებით.

## ცალმხრივი გადაწყვეტილება

**ჰანოი,** 2 ნოემბერი. (საკდესი). როგორც ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო იუწყება, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გუშინ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც გადაჭრით გმობს იაპონიის მთავრობის თანხმობას, რომ გადაუხადოს სამხედრო რეპარაციები მხოლოდ სამხრეთ ვიეტნამს.

ჟენევის 1954 წლის შეთანხმებების შესაბამისად, ნათქვამია განცხადებაში, სამხრეთ ვიეტნამის ხელისუფლებს არა აქვთ არავითარი კანონიერი უფლება იყვნენ მთელი ვიეტნამელი ხალხის წარმომადგენლები და აწარმოონ მოლაპარაკება იაპონიის მთავრობასთან საკითხზე, რომელიც ეხება მთელი ვიეტნამელი ხალხის ინტერესებს.

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა, ხაზგასმულია განცხადებაში, არ ცნობს ამ გადაწყვეტილებას და კატეგორიულად ილაშქრებს იმის წინააღმდეგ, რომ ცალმხრივად გადაეხადოს სამხედრო რეპარაციები სამხრეთ ვიეტნამს.

## დიდი ოქტომბრის აღსანიშნავად

30 ოქტომბერს თბილისის ოფიცერთა სახლის კინოთეატრში დაიწყო ფესტივალი კინოფილმებისა თემაზე „სკკპ — დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი“. კინოფესტივალი მიძღვნილია დიდი ოქტომბრის 42-ე წლისთავისადმი.

მაყურებლები ეკრანზე ნახავენ საუკეთესო მხატვრულ ფილმებს, როგორიც არის: „მოთხრობები ლენინზე“, „ოქტომბრის დღეებში“, „კომუნისტი“, „პროლოგი“, „ანუშკა“ და სხვ. კინოფესტივალი ერთ კვირას გასტანს. (საქდესი).



## თეატრი

# სპექტაკლი უცხოქარის წინააღმდეგ

### გ. სუნდუკიანის „და სხვა ანუ ახალი დიოგენი“ თბილისის სახელმწიფო სომხურ თეატრში

**ჩვენი ხალხის** ბრძოლას უცხო ქარის — უცხოურ სიმახინჯეთა წინააღმდეგ ხანგრძლივი ისტორია აქვს. საკმარისია გავიხსენოთ, თუ რა მწარედ დასცინოდნენ მხატვრული სიტყვით უცხოური ზნეჩვეულებების მოტრფიალეთ, საუკეთესო ეროვნული ტრადიციების უარმყოფელთ, ქართული ლიტერატურის სახელგანთქმული წარმომადგენლები ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, გ. ერისთავი და სხვ.

ამ უაღრესად აქტუალურმა თემამ თავის დროზე დიდი სომეხი დრამატურგის გ. სუნდუკიანის ყურადღებაც მიიპყრო. ასე შეიქმნა ცნობილი დრამატურგის შემოქმედების გარიჟრაჟზე სატირიკული ვოდევილი „და სხვა ანუ ახალი დიოგენი“.

ამ ვოდევილში გ. სუნდუკიანი ამათრახებს პრანჭია, შინგამოჩეკილ ფრაკიან „უცხოელებს“, რომელთაც თავისი თავი ევროპული კულტურის მიმდევრებად მოაქვთ და საზოგადოების განცვიფრებას ცდილობენ თავიანთი დამთბვულობით.

თეატრები მოწოდებული არიან დაიცვან სოციალისტური ეროვნული კულტურის პრინციპები უცხო მავნე გავლენებისაგან. ამიტომ ხავსებით სწორად მოიქცა შაუმიანის სახელობის თეატრის კოლექტივი, რომ მიმდინარე თეატრალურ სეზონში თავის სცენაზე განახორციელა გ. სუნდუკიანის ამ ვოდევილის დადგმა.

მაგრამ იყო ერთი საშიშროება: თემის აქტუალობით საინტერესო ნაწარმოები როგორც ჯერ კიდევ გამოუცდელი დრამატურგის ადრეული შემოქმედების ნაყოფი, სუსტი იყო დრამატიული კონფლიქტის განვითარების თვალსაზრისით.

გასაგებია, რომ პიესის ეს ნაკლი გარკვეული სიძნელეების წინაშე დააყენებდა როგორც რეჟისორს, ისე თეატრის მთელ კოლექტივს.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ სომხური თეატრის კოლექტივს პიესის ეს ხარვეზი ოსტატურად დაუძლევია, ახალგაზრდა ნიჭიერი რეჟისორის ჰ. უმიკიანის ხელმძღვანელობით ახლებურად გაუხსნია ამ ვოდევილის იდეური ჩანაფიქრი და მისთვის ჭეშმარიტად ტრაგიკომიკური ელერადობა მიუნიჭებია.

სპექტაკლში ყველაფერი — მარჯვედ გამოყენებული ფსიქოლოგიური დეტალები, პანტომიმა, მუსიკა, მხატვრობა, დიალოგები, სიმღერები გამიზნულია, რომ ბოლომდე მხილებულ იქნას მშობლიური ერის კალთიდან გადმოფრენილი, კაბარეებისა და კაფე-შანტანების ჰაერით მოწამლული ჭაბუკის გიჟმაჟობა, ქარაფშუტობა, უბადრუკობა და მისი სრული მორალური კრახი.

სპექტაკლში მძაფრ · რეალისტურ ფერებშია დასურათებული ძველი თბილისის ამქართა ლხინი: მწვანე მოლზე დარდიმანდული სუფრაა გაშლილი, ძველი თბილისელები ლაღად დრეობენ. ამ სცენაში ყოველი მიზანსცენა ისე დამაჯერებლად არის გაკეთებული, რომ მაყურებლის შეგნებაში საბოლოოდ იმარჯვებს ერთადერთი იდეა: თვითონ ხალხი, ცოცხალი ადამიანების უმრავლესობაა საერთოსახალხო ზნე-ჩვეულებებისა და ყოფა-ცხოვრების ნორმების დამდგენი, ხოლო რაც მისი გულისთქმის თარგზე არ არის გამოჭრილი, ყველაფერი უდღეურია, უბადრუკი, და განწირული. ამასვე მეტყველებს ამ სცენის და საერთოდ სპექტაკლის მშვენივრად მოფიქრებული ეფექტური ფინალი — მოქეიფეთა მიერ თავლაფდასხმული გიჟმაჟი „უცხოელის“ კასრში ჩაკეტვის კომიკური ეპიზოდი.

სპექტაკლში გასული საუკუნის „სტილიაგას“ — ახალი დიოგენის როლს დიდი წარმატებით ასრულებს მსახიობი რ. პაპოვიანი. იგი მრავალმხრივი ნიჭის მსახიობია, მაგრამ უფრო სახასიათო კომიკური როლები გამოუდის. ამ როლის განსახიერებისთვისაც მსახიობს ნათელი საღებავები მოუძებნია. მისი ყოველი მოძრაობა დამაჯერებელი, პლასტიკურია, ყოველი მიზანსცენა ახალი შტრიხით ამდიდრებს „უცხოელი“ ქარაფშუტა ფრანტის სახეს, თითქოს მსახიობი მთელი არსებით იყოს შეზრდილი მის ბუნებასთან. პაპოვიანის ახალ დიოგენს საზღვარგარეთ მხოლოდ ფრაკის მოხდენილად ჩაცმა, ხელჯოხის ტარება, ცალკეული ფრანგული სიტყვები, უცნაური ცეკვა და, რაც მთავარია, ლამაზმანებთან არშიყი შეუსწავლია. სამშობლოში დაბრუნებულ თავის ხალხისა აღარაფერი მოსწონს: აღარც მამა-პაპური ლხინი, არც ენა, არც სიმღერა, აღარც ზრდილობა და არც ტრადიციულად დამახასიათებელი პატიოსნება. თანამემამულეებს ცხვირაბზუებული ზემოდან დასცქერის, გაუნათლებლად მიაჩნია, მათ წრეში მოწყენილად გრძნობს თავს.

წარმატებით თამაშობს თბილისელი მანდილოსნის ნინოს როლს მსახიობი ა. ჟამკოჩიანი. განსაკუთრებით კარგია თბილისელი მოქალაქის იაკულიჩის როლში საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ლ. ალაჰვერდიანი. მან მხატვრული სიმართლით წარმოგვიდგინა თბილისელი ყარაჩოხელის დარდიმანდული ბუნება.

საერთოდ მთელ კოლექტივს დიდი ალმავლობით მიჰყავს სპექტაკლი.

ყურადღების ღირსია კომპოზიტორის ნ. მკრტიჩიანის (ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე) ემოციური მუსიკა. განსაკუთრებით სასიამოვნო მოსასმენია ყარაჩოხელთა სიმღერების მოტივებზე გაშლილი მელოდიები. მხატვარ ჰ. არუთინიანის მიერ ფაქიზად არის გაფორმებული სპექტაკლი. ლაკონიურ დეკორაციებში დაცულია იმ ეპოქის სტილი და ძველი თბილისის კოლორიტი. გემოვნებით არის შერჩეული კოსტიუმები. კოლორიტულია ცეკვებიც, რომლებიც მომზადებულია სომხეთის სსრ დამსახურებული არტისტის ი. არბატოვის მიერ.

სპექტაკლი მაყურებელმა გულთბილად მიიღო. ყოველი წარმოდგენის თანამგზავრია მაყურებელთა საყოველთაო და ხანგრძლივი ტაში, რაც თეატრის კოლექტივის კიდევ ერთი მორიგი წარმატების დამადასტურებელია.

**არჩ. დავითიანი.**

• • •

**სურათზე:** სცენა სპექტაკლიდან: რ. პაპოვიანი (ახალი დიოგენი), ა. ჟამკოჩიანი (ნინო).

# სპორტის ამბები

## მოსკოვის დინამოელებმა რევანში აიღეს

**მოსკოვი.** 3 ნოემბერი. დონის როსტოვის არმიელ ფეხბურთელთა და საკავშირო ჩემპიონატის ლიდერის მოსკოვის „დინამოს“ პირველი მატჩი ამ ათიოდე დღის წინათ გაიმართა დონის როსტოვში და დამთავრდა სკეო-ს გამარჯვებით (1 : 0).

ამ გამარჯვებით არმიელებმა გზა გაიკაფეს საპრიზო ადგილისაკენ. დღეს ეს გუნდები კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს, მოსკოვის „დინამოს“. სტადიონზე.

თამაში ორმხრივი იერიშებით დაიწყო. მალე ინიციატივა ხელთ იგდეს მოსკოველებმა. 24-ე წუთზე მარცხენა გარემარბმა შაპოვალოვმა გადმონაცვლა ცენტრში და ძლიერი დარტყმით გახსნა ანგარიში. არ გასულა სამი წუთი, რომ არმიელ ფეხბურთელთა კონტრიერიში გოლით დამთავრდა. ბურთი გაიტანა ეგოროვმა. დინამოელები უფრო ორგანიზებულად და ტექნიკურად უტევდნენ, ამიტომ ტერიტორიალური უპირატესობაც მათ ეკუთვნოდა. მალე დინამოელმა ნახევარმცველმა სოკოლოვმა სტუმართა კარში მეორე ბურთი გაიტანა.

პირველი ტაიმი დამთავრდა მოსკოველთა სასარგებლოდ 2 : 1.

შეჯიბრების მეორე ნახევრის დასაწყისშივე დინამოელი ურინი პირისპირ აღმოჩნდა მეკარესთან და ახლო მანძილიდან მესამე ბურთი გაიტანა სკეო-ს კარში. ამის შემდეგ ანგარიში არ შეცვლილა. მოსკოვის დინამოელებმა აიღეს რევანში, გაიმარჯვეს 3 : 1.

თუ ვინ იქნება ჩემპიონი ამას გადაწყვეტს მოსკოვის „დინამოსა“ და „ლოკომოტივის“ გუნდების 8 ნოემბრის მატჩი. დინამოელებს ამ შეხვედრაში ერთი ქულაც აკმაყოფილებთ, ლოკომოტიველებმა კი მხოლოდ გამარჯვებისათვის უნდა იბრძოლონ.

მართალია ჩემპიონატი ჯერ კიდევ არ დამთავრებულა, მაგრამ დღევანდელი მატჩის შემდეგ გადაწყდა **მესამე საპრიზო ადგილის ბედი. იგი თბილისის დინამოელებმა მოიპოვეს,** რომელთაც შეგროვილი აქვთ 27 ქულა.

## ახალგაზრდულ ნაკრებთა მატჩი

გუშინ თბილისის „დინამოს“ სტადიონზე გაიმართა საქართველოს პირველი და მეორე ახალგაზრდული ნაკრები გუნდების მატჩი ფეხბურთში. შეჯიბრება დამთავრდა ფრედ 3:3.

## თბილისი-გროზნო

თბილისში ორ დღეს გრძელდებოდა საქალაქთაშორისო შეჯიბრება ველორბოლაში ტრეკზე. მოეწყო შეხვედრები გიტში, სპრინტერულ სვლაში, გუნდურ და სალიდერო რბოლასა და ველოსპორტის სხვა სახეობებში.

სპრინტერული რბოლის ფინალში გაიმარჯვეს თბილისელებმა: ვაჟთა შორის — ი. იუხნევიჩმა, ქალთა შორის — ა. კარპენკომ. რბოლაში ორ კილომეტრზე ქალთა შორის დადევნებით გაიმარჯვა თბილისელმა გ. ატლანოვამ (2 წუთი და 56,1 წამი), ხოლო ვაჟთა შორის 4 კილომეტრზე — გ. გეორქოვმა (თბილისი, 5 წუთი და 34,7 წამი). სალიდერო რბოლაში 25 კილომეტრზე უძლიერესი იყვნენ თბილისელები.

საერთო გუნდურ ასპარეზობაში გაიმარჯვეს თბილისელებმა. 14 და 15 ნოემბერს ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში გაიმართება ოდესისა და თბილისის ველომრბოლთა მორიგი საქალაქთაშორისო შეჯიბრება.

## საკავშირო ჩემპიონატის ცხრილი ფეხბურთში

(„ა“ კლასი)

მდგომარეობა 4 ნოემბრისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო“ მ. | 21 | 13 | 4 | 4 | 41:20 | 30 |
| „ლოკომ“. | 21 | 12 | 4 | 5 | 41:24 | 28 |
| „დინ“. თბ. | 22 | 12 | 3 | 7 | 48:33 | 27 |
| „ტორპედო“ მ. | 22 | 11 | 3 | 8 | 27:23 | 25 |
| სკეო | 21 | 10 | 4 | 7 | 34:29 | 24 |
| „სპარტაკი“ მ. | 22 | 8 | 8 | 6 | 32:28 | 24 |
| „ზენიტი“ ლ. | 21 | 8 | 4 | 9 | 29:36 | 20 |
| „დინამო“ კ. | 21 | 6 | 7 | 8 | 24:31 | 19 |
| ცსკ მო მ. | 20 | 7 | 3 | 10 | 26:25 | 17 |
| „მოლდოვა“ | 21 | 6 | 4 | 11 | 20:43 | 16 |
| „კრ. სოვეტ“. | 22 | 6 | 1 | 15 | 26:37 | 13 |
| „შახტიორი“ | 20 | 3 | 5 | 12 | 20:39 | 11 |

შემოკლებული აღნიშვნები: თ. — თამაში, მ. — მოგება, ფ. — ფრე, წ. — წაგება, ბ. — ბურთები, ქ. — ქულა.

## თბილისელ მოკრივეთა გამარჯვება

**გუშინ** თბილისის სახელმწიფო ცირკში გაიმართა საქალაქთაშორისო შეჯიბრება კრივში ხარკოვისა და თბილისის ნაკრებ გუნდებს შორის. ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის გუნდი ძირითადად დაკომპლექტებული იყო ახალგაზრდა სპორტსმენებით, რომლებმაც შეხვედრა წარმატებით ჩაატარეს.

სპორტსმენთა პარადისა და მისალმებათა შემდეგ რინგზე გამოვიდნენ მჩატე წონის მოკრივეები ნ. ბრუკი და თბილისელი ნ. კიკავა. სამივე რაუნდი ნ. კიკავამ ტექნიკურად ძლიერად ჩაატარა და გაიმარჯვა ქულებით.

სპორტის ოსტატის ვ. კაკუშკინის (ხარკოვი) წინააღმდეგ ენერგიულად იბრძოდა ვ. ცერცვაძე. მცირე უპირატესობით გამარჯვება მიეკუთვნა ვ. კაკუშკინს. მსუბუქ წონაში ვ. ბუდარინმა (ხარკოვი) ქულებით დამარცხება განიცადა ჯ. რაზმაძესთან, ხოლო პირველ ქვესაშუალო წონაში ვ. კოროტკოვმა მალე ბრძოლაზე უარი განაცხადა. გამარჯვება მიეკუთვნა თბილისელ პ. ხუბეჟოვს.

საინტერესოდ მიმდინარეობდა ო. ბერზინის (ხარკოვი) და ი. სილაგაძის შეჯიბრება მეორე ქვესაშუალო წონაში. მეორე რაუნდის შემდეგ ო. ბერზინმა ვერ შეძლო ბრძოლის გაგრძელება და გამარჯვება ი. სილაგაძეს მიეკუთვნა.

პირველ საშუალო წონაში ო. ზებულაშვილის უპირატესობა აშკარა იყო პ. გრინთან. ბრძოლა მეორე რაუნდში შეწყვეტილ იქნა. გამარჯვება თბილისის გუნდის წარმომადგენელს მიეკუთვნა. მეორე საშუალო წონაში ვ. კაკუტიამ წააგო შეხვედრა გამოცდილ მოკრივესთან მ. სელივანოვთან. ქვემძიმე და მძიმე წონებში თბილისის გუნდის წარმომადგენლებმა რ. აკოფოვმა და დ. ჩოგოვაძემ დაამარცხეს მოწინააღმდეგენი ფ. საპრიკინი და ვ. სპადარიკოვი.

ამრიგად, ხარკოვისა და თბილისის მოკრივეთა ნაკრები გუნდების საქალაქთაშორისო შეჯიბრება დამთავრდა თბილისელთა გამარჯვებით ანგარიშით 7:2. ხარკოველები მორიგ შეჯიბრებას გამართავენ ქუთაისში.

მ. ბერიევი,
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.


ჩვენი მუშა კორესპონდენტებისა და სოფლის კორესპონდენტების, მრავალტირაჟიანი გაზეთებისა და კედლის გაზეთების რედაქტორების საყურადღებოდ

გაზეთ „პრავდის“ რედაქცია უშვებს ყოველთვიურ ჟურნალს




«Рабоче-крестьянский корреспондент». ეს ჟურნალი განაზოგადებს მუშსოფლკორთა მოძრაობის გამოცდილებას, აშუქებს მის პრაქტიკულ საკითხებს, სისტემატურად ბეჭდავს კონსულტაციებს მუშსოფლკორებისა და ძირეული პრესის მუშაკებისათვის საინტერესო თემებზე.

ვურჩევთ ჩვენი გაზეთის მუშა კორესპონდენტებსა და სოფლის კორესპონდენტებს, კედლის გაზეთების აქტივისტებს, აგრეთვე მრავალტირაჟიანი და რაიონული გაზეთების მუშაკებს ხელი მოაწერონ 1960 წლისათვის ჟურნალ «Рабоче-крестьянский корреспондент»-ზე.

ჟურნალზე ხელმოწერა შეზღუდული არ არის. მისი გამოწერა შეიძლება მუშაობის ადგილის მიხედვით პრესის საზოგადოებრივ გამავრცელებელთან ან კავშირგაბმულობის ყოველ განყოფილებაში. ხელმოწერის ფასი:

სამი თვით — 3 მანეთი.
ექვსი თვით — 6 მანეთი.
ერთი წლით — 12 მანეთი.


## თბილისის თეატრებსა და კინოებში

4 ნოემბერი

რუსთაველის სახელობის — ერთხელ დახოცილები, მარჯანიშვილის სახელობის — ამერიკული ტრაგედია, გრიბოედოვის სახელობის—უკანასკნელი გაჩერება (1-ლი აბონ. 1-ლი წარმ). სანკულტურის — არეული დღე, მოზარდ მაყურებელთა — ქართული— პრინცესა ტურანდოტი (აბონ. № 31, 6 ს.), თოჯინების ქართული — ჩექმებიანი კატა — (10 ს.), კონსერვატორიის დიდი დარბაზი — ნოდარ გაბუნიას კონცერტი (როიალი).

• • •

რუსთაველის სახელობის, ამირანი (საზამთრო) — ხოვანშჩინა, ამირანი (საზაფხულო), პლეხანოვის სახელობის კლუბი (საზამთრო), ძერჟინსკის სახელობის კლუბი (საზამთრო), კოლმეურნე, ყაზბეგი — ყვავილი თოვლზე, კომუნარების ბაღი, ფილარმონიის ბაღი, ისანი (საზამთრო), საქართველო (წითელი დარბაზი), კოლხიდა (საზამთრო), ჭავჭავაძის სახელობის კლუბი — მზე ყველას უნათებს, ისანი (საზაფხული) — არწივი, სპარტაკი — ერთი გამანადგურებლის ამბავი, თბილისი — ტარიელ მკლავაძის საქმე, 26 კომისრის სახელობის (პირველი დარბაზი) — ზანგბური, 26 კომისრის სახელობის (მეორე დარბაზი) — მისი ფანტაზია.

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის — 3-62-26, რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, 3-32-46, პასუხისმგებელი მდივნის — 3-72-80, სამდივნოსი — 3-81-65, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81-84, მრეწველობისა, ტრანსპორტის, ადგილობრივი ინფორმაციის — 3-16-90, სოფლის მეურნეობის — 3-20-43, მეცნიერების, უმაღლესი და საშუალო სკოლების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, საბჭოთა მშენებლობის — 3-57-61, უცხოეთის ინფორმაციის — 3-80-83, წერილებისა და პარტბიუროსი — 3-73-24, საილუსტრაციო — 3-08-67, განცხადებების მიღების — 3-64-42, გამომშვების — 3-06-88.

უე 07703 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.